

საგრანტო პროექტი # 061-13

ახალი ტიპის კომპოზიციური საჯავშნე მასალის მიღების ტექნოლოგიის შემუშავება

საგრანტო პროექტის ფინალური ანგარიში

პროექტის ხელმძღვანელი
ნიკოლოზ ჯალაბაძე


ამოცანა 1. მაღალი სიმძლავრის კვების ბლოკის მართვის მოდულის შესყიდვა და მისი მონტაჟი ნაპერწკალურ პლაზმური შეცხოვის/სინთეზის (SPS) დანადგარზე.

ამოცანა 2. მცირევოლტრამიანი TiC-Ni-Mo-W და უვოლტრამო TiC-Fe-Ni ტიპის სალი შენადნობების და TiC, TiB₂-B₄C და TiC-TiN კარბიდული მასალების ნანოკრისტალური ფხვნილებისა და მასიური ნიმუშების მიღების ტექნოლოგიის შემუშავება.


ამოცანა 3. სამეცნიერო სტატიების მომზადება. პროექტის ფინალური ანგარიშის მომზადება

**მაღალი სიმძლავრის კვების ბლოკის მართვის მოდულის შესყიდვა და მისი მონტაჟი
ნაპერწკალურ პლაზმური შეცხოვის/სინთეზის (SPS) დანადგარზე.**

საჯავშნე კომპოზიციური მასალების მიღების ტექნოლოგიურ ციკლში ერთერთი საკვანძო ნაწილია ნაპერწკალურ პლაზმური სინთეზის (ნპს) მოწყობილობა. ჩვენს მიერ სტრუქტურულ კვლევათა რესპუბლიკურ ცენტრში შექმნილი ნპს დანადგარის საბაზრო ფასი 300 000 აშშ დოლარის შესაბამისია. უცხოური კომპანიების ამავე ტიპის მოწყობილობები მხოლოდ დიზაინით არიან უკეთესნი. ხოლო იმ მოწყობილობების ფასი რომლებიც აღჭურვილნი არიან ავტომატური მართვით 500 000 აშშ დოლარი და მეტია. ნპს მოწყობილობის ერთერთ ძირითად ნაწილს კვების ბლოკი წარმოადგენს. პროექტის ერთერთ მნიშვნელოვან მიზანს ნანოკრისტალური კომპოზიციური მასალების ფხვნილიდან მასიური ნამზადების მისაღები ნპს მეთოდზე დაფუძნებული მოწყობილობის ფუნქციური გაუმჯობესებაა და მისი საშუალებით მაღალეფექტური კომპოზიციური საჯავშნე მასალების მიღებაა ასევე ნანოკრისტალური სტრუქტურული მდგომარეობით. ნპს მოწყობილობის ფუნქციური გაუმჯობესება განხორციელდება მასში დაბალი სიმძლავრის მუდმივი იმპულსური დენის ბლოკის ნაცვლად, მაღალი სიმძლავრის ცვლადი (პირდაპირი და უკუ) იმპულსური დენის ბლოკის გამოყენებით. ამ ბლოკის გამოყენებით ჩვენს მიერ შექმნილი ნპს მოწყობილობა თავისი ფუნქციონალურობით გარდაიქმნება ისეთ მოწყობილობად რომელსაც მსოფლიო ბაზარზე ანალოგი არ ეყოლება. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი კვების ბლოკები გამოყენებულია ქიმიურ მრეწველობაში გალვანური დანაფარებისა და ნამზადდთა ზედაპირების ანოდიზირებისათვის. მრავალი კვლევებისა და სამრეწველო პრაქტიკით დამტკიცებულად მიიღება იპულსური დენებისა და რევერსული იმპულსური დენების გამოყენების უპირატესობა მუდმივ დენის გამოყენებასთან შედარებით, მაღალი ადგეზიურობის მქონე მტკიცე გალვანური დანაფარების მისაღებად. აღსანიშნავია ასევე, რომ აღნიშნული კვების ბლოკებიც საკმაოდ დიდი ფასით ხასიათდება. ჩვენს მიერ ჩატარებული იქნა კვების ბლოკების მსოფლიო ბაზრის მარკეტინგი, რამაც წარმოდგენა შეგვიქმნა კვების ბლოკების ფასებზე და მის კონსტრუქციულ თავისებურებებზე. ქვემოთ მოყვანილია რამოდენიმე წამყვანი კომპანიის მიერ წარმოებული კვების ბლოკების დიაგრამები. ჩინური კომანია General (Chengchu) Rectification Electric Application Research Institute კვების ბლოკის ფასი 95 000 აშშ დოლარია. იგი იძლევა 20 ვოლტისა და 5 000 ამპერის მუდმივ და იმპულსურ დენს, როგორც პირდაპირს ასევე უკუს. დენის 10 000 ამპერამდე გაზრდის შემთხვევაში ფასი ორმაგდება და 180 000 აშშ დოლარს შეადგენს. ანალოგიური ფასი შემოგვთავაზა გერმანულმა კომპანიამ Plating Electronic 100 000 აშშ დოლარი, თუმცა მაქსიმალური დენი რომლის მოცემაც ამ დანადგარს შეუძლია 20 ვოლტის შემთხვევაში 5 088 ამპერი არის. ქვემოთ მოყვანილია სხვადასხვა კომპანიების მიერ წარმოებული კვების ბლოკების სქემატური სახეები.




სურ.1. General (Chengchu) Rectification Electric Application Research Institute (China) კომპანიის კვების ბლოკის სქემა




სურ.2. Plating Electronic (Germany) კომპანიის კვების ბლოკის სქემა

შედარებით დაბალი ფასი შემოგვთავაზა მეორე ჩინურმა კომპანიამ Foshan Jiechuang Technology 75 000 აშშ დოლარი, რომლის კვების ბლოკის დიაგრამაც ქვემოთაა მოყვანილი (სურ.3). მონაცემები კვების ბლოკისა 24 ვ და 5 000 ამპერია. ჩვენდა გასაკვირად კომპანია მზადაა შემოგვთავაზოს კვების ბლოკი გაორმაგებული დენის ძალით, 10 000 ამპერი, ფასის არამნიშვნელოვანი ზრდით. ამჟამად მიმდინარებს ამ კომპანიასთან დისკუსია, რომ დავრწმუნდეთ მის შესაძლებლობებში, ნამდვილად შესწევს თუ არა მას უნარი დაამზადოს კვების ბლოკი ასეთი მონაცემებით. ამერიკული კომპანიების America Plating Power, Dynatronix და AMETEK მიერ შემოთავაზებული კვების ბლოკები საკმაოდ მაღალი ფასებით ხასიათდებიან.




სურ.3. Foshan Jiechuang Technology (China) კომპანიის კვების ბლოკის სქემა

როგორც ზემოთ ჩატარებული ანალიზიდან ჩანს, იმპულსური დენის ბლოკები საკმაოდ ძვირი მოწყობილობებია. ყველა ამ ბლოკებში გამოყენებულია მაღალი სიხშირის იმპულსური ტრანსფორმატორები. ეს კი ტრანსფორმატორის წონასა და ზომებს საკმაოდ ამცირებს. მაღალი იმპულსური დენის მისაღებად კი საჭიროა ველიანი ტრანსისტორული მოდულის გამოყენება ტრანსფორმატორის მაღალ მხარეს. ტრანზისტორული მოდულის სამუშაოდ კი მუდმივი დენია საჭირო, ამიტომაც დასაწყისშივე ხდება სამფაზა ცვლადი დენის გამართვა ერთფაზა მუდმივ დენად. ტრანსფორმატორის დაბალ მხარეს ასევე საჭიროა დენის გამართვა მუდმივ დენად, ხოლო შემდეგ კი ამ მუდმივი დენიდან იმპულსური დენის მიღება ასევე ველიანი ტრანზისტორული მოდულების გამოყენებით. ცხადია ველიანი ტრანზისტორული მოდულები გათვლილი უნდა იყოს შესაბამის დენებზე. ტრანზისტორული მოდულების მუშაობას სჭირდება მაკონტროლებელი და მართვის სისტემები. ჩვენი ნძს მოწყობილობის კვების ბლოკის დიაგრამა ნაჩვენებია სურ.4-ზე.




სურ.4. ნძს მოწყობილობის კვების ბლოკის დიაგრამა

ჩვენს მოწყობილობაში გამოყენებულია ჩვეულებრივი ტიპის დამადაბლებელი ტრანსფორმატორი. ძაბვის რეგულირებისათვის გამოყენებული იყო რეოსტატური რეგულატორი. მუშაობის დროს იგი ხშირად ხურდებოდა და არ იძლეოდა მაღალ რეჟიმებზე ნორმალური მუშაობის საშუალებას. ამის გამო პროექტის სახსრებით შეძენილი იქნა მართვის მოდული, რომელიც შესდგება ტირისტორული ბლოკისაგან, რეგისტრაციისა და კონტროლის ბლოკისაგან და ტრანზისტორული მართვის ბლოკისაგან. სურ.5-ზე ნაჩვენებია მართვის მოდულის დამონტაჟების შემდეგ კვების ბლოკის დიაგრამა.




სურ.5. მართვის მოდულის დამონტაჟების შემდეგ კვების ბლოკის დიაგრამა.

ჩატარებულმა ტესტირებამ გვიჩვენა მართვის მოდულის გამართული მუშაობა. მაღლი მახასიათებლების მისაღებად საჭირო იყო ახალი მართვის მოდულის დამონტაჟება და კვების ბლოკში შემავალი სხვა ნაწილების მახასიათებლების გაზრდაც. მაგალითად გამმართველი 3 000 ამპერის ტოლი დენის ნაცვლად უნდა იძლეოდეს 10 000 ამპერი დენის მიღებას. ამიტომაც მოხდა გამმართველში შემავალი დიოდების შეცვლა მაღალ ამპერაჟიანი დიოდებით. გამოყენებული იქნება ZP12000 ტიპის ექვსი ცალი დიოდები, გათვლილი 12 000 ამპერ სამუშაო დენზე. დიოდები საჭიროებენ წყლით გაცივებას, ამიტომ შევიმუშავეთ შესაბამისი კონსტრუქცია და დამზადდა შესაბამისი დეტალები. კონსტრუქციის ზოგადი სქემა და შემადგენელი დეტალების ნახაზები მოცემულია სურ.6. და სურ.7-ზე.



სურ.6. სამფაზა დენის გამმართველი ბლოკი




სურ.7. სამფაზა დენის გამმართველი ბლოკის კონსტრუქციული ნახაზები


მართვის მოდულის ტირისტორების მართვის ელექტრონული სქემა ორი ნაწილისაგან შესდგება და მათი სახეები მოცემულია სურ.8 და სურ9-ზე.

ასევე მოხდა არსებული ველიანი ტრანზისტორული მოდულის შეცვლა. იგი 100 ცალი ველიანი ტრანზისტორისგან შესდგებოდა და მხოლოდ 3 000 ამპერ იმპულსურ დენზე იყო გათვლილი. ახალი SK300MB075 ტიპის ველიანი ტრანზისტორული მოდულების გამოყენებით კი შესაძლებელი იქნება 10 000 ამპერი იმპულსური დენის მიღება. მათი რაოდენობა 48 ცალს შეადგენს. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ გამიზნული გვექონდა ძაბვის ტირისტორული რეგულატორის ველიანი ტრანზისტორული მართვის მოდულით შეცვლა. ასეთ შემთხვევაში ჩვენი მოწყობილობის კვების ბლოკის დიაგრამას ექნებოდა სურ.10-ზე მოყვანილი სახე და ასეთი ცვლილება


კვების ბლოკის მუშაობას უფრო სტაბილურს გახდიდა. შესაბამისად შესაძლებლობა იქნებოდა მთლიანად ნაკლებ მოწყობილობის უფრო გამართულად მუშაობა და სხვადასხვა რეჟიმების გამოყენებით მიგვეღწია კიდევ უფრო მაღალი მახასიათებლების მქონე კომპოზიციური მასალების მიღება. სამწუხაროდ ფინანსური წყაროს ვერ მოძიების გამო ასეთი ტიპის ელექტრონული და კონსტრუქციული ცვლილება კვების ბლოკის პროექტის ფარგლებში ვერ განხორციელდა, თუმცა იგი პროექტით გათვალისწინებული არ ყოფილა.



სურ. 8. მარტვის მოდულის მარტვის ბლოკთან არსებული ნაწილის ელექტრონული სქემა




სურ.9. მართვის მოდულის ტირისტორების ბლოკთან არსებული ნაწილის ელექტრონული სქემა




სურ.10. ახალი ტიპის კვების ბლოკის სქემატური სახე

ჩატარებული ლიტერატურული კვლევების ანალიზიდან ნათლად გამოჩნდა, რომ მაღალი სიმძლავრის იმპულსური დენის ბლოკები საკმაოდ ძვირი მოწყობილობებია. იმის გამო, რომ ამ ბლოკებში გამოყენებულია მაღალი სიხშირის იმპულსური ტრანსფორმატორები, მოწყობილობის მთლიანი წონა და ზომები საკმაოდ მცირეა. ჩვენს ცენტრში შექმნილი ნაპერწკალურ პლახმური სინთეზის მოწყობილობა აღჭურვილია დაბალი სიხშირის, ჩვეულებრივი ტიპის, დამადაბლებელი ტრანსფორმატორით, ამიტომ ცხადია საჭირო იყო მართვის მოდულის მასთან მისადაგება. პროექტის სახსრებით შექმნილი მართვის მოდულის გამოყენებისას, ძაბვის რეგულირება ხდება სამფაზა ტირისტორული ბლოკის საშუალებით, რომელიც ტრანსფორმატორის მაღალ მხარესაა გამოყენებული. მუდმივი დენის მიღება კი ხდება ასევე სამფაზა გამმართველის საშუალებით. მაღალი იმპულსური დენის მისაღებად გამოყენებულია SK300MB075 ტიპის ველიანი ტრაზისტორული მოდული. იგი ტრანსფორმატორის დაბალ მხარესაა მოთავსებული გამმართველის შემდეგ. ჩატარებულმა ტესტირებამ გვიჩვენა, რომ მართვის მოდული გამართულად მუშაობს, თუმცა მაღალი მახასიათებლების მისაღებად საჭირო იყო კვების ბლოკში შემავალი სხვა ნაწილების კონსტრუქციული კორექტირება. შეიცვალა კონსტრუქცია გამმართველი ბლოკისა, რის შედეგადაც ბლოკი უფრო კომპაქტური გახდა და მასში შემავალი ZP12000 ტიპის დიოდების გაციების ხარისხიც მნიშვნელოვნად გაიზარდა. კონსტრუქციის ზოგადი სქემა და შემადგენელი დეტალების ნახაზები მოცემულია სურ.11-ზე.





სურ.11. ZP12000 ტიპის დიოდების გამოყენებით აგებული სამფაზა ცვლადი დენის გამმართველი გაციების სისტემით

კორექტირება განხორციელდა ასევე ტირისტორების მართვის ბლოკისაც. როგორც ცნობილია ტირისტორული რეგულირება ძაბვისა წარმოებს ტირისტორების ჩართვა-გამორთვის საშუალებით. მათი ჩართვა-გამორთვა უნდა ხორციელდებოდეს ცვლადი დენის სამივე ფაზის სინუსოიდის ზუტად განსაზღვრულ წერტილებში. ცხადია ვინაიდან ფაზები ერთმანეთის მიმართ ზუსტად 120° არიან დაძრული, ასეთივე დაძვრა უნდა იყოს სამივე ფაზის შესაბამისი ტირისტორების ჩართვა-გამორთვაში. წინა ელექტრონულ მართვის სქემაში ათვლის წერტილად აიღებოდა ძაბვის ნულზე გადასვლის მომენტი. აღმოჩნდა, რომ ფაზებში ძაბვის ნულზე გადასვლის მომენტი მართალია მცირედ, მაგრამ მაინც განსხვავებული იყო, მიუხედავად იმისა, რომ გაწონასწორებისათვის გამოყენებული იყო კონდესატორებისა და წინაღობების შესაბამისი სისტემა. ამის გამო ეს განსხვავება ასიმეტრიას იწვევდა ძალოვანი ტრანსფორმატორის გრაგნილებში და აფერხებდა მის ნორმალურ მუშაობას. გადაწყდა, რომ ათვლის წერტილად აღებულიყო არა ძაბვის არამედ დენის ნულზე გადასვლის მომენტი. ანალოგურად წინა ელექტრონული სქემისა ტირისტორების მართვის ახალი ელექტრონული სქემაც ორი ნაწილისაგან შესდგება. პირველ ნაწილში განხორციელდა ცვლილება ხოლო მეორე ნაწილი კი უცვლელი დარჩა. შეცვლილი ნაწილის სქემა მოცემულია სურ.12-ზე.



სურ.12. მართვის მოდულის მართვის ბლოკთან არსებული ნაწილის ახალი ელექტრონული სქემა

სურ.13-ზე ნაჩვენებია ტრანზისტორული მოდულის სქემატური სახე და მისი მართვის ელექტრონული სქემა.



სურ.13. ტრანზისტორული მოდულის სქემატური სახე და მისი მართვის ელექტრონული სქემა.

განხორციელებული კონსტრუქციული ცვლილებების შემდეგ მართვის მოდული გამართულად მუშაობს. დაბალი ძაბვის რეგულაცია დატვირთვის გარეშე 0-25 ვოლტის ფარგლებში მიმდინარებს. დატვირთვის გამოყენებისას კი ძაბვის მაქსიმალური მნიშვნელობა 20 ვოლტს უტოლდება. რაც შეეხება დენის მნიშვნელობას, ტესტირებისას მისმა სიდიდემ იმპულსურ რეჟიმში 4000-5000 ამპერს

მიაღწია. მეტი ამპერაჟის მიღება ვერ მოხერხდა შესაბამისი დატვირთვის არ ქონის გამო. ასევე მოვერიდეთ გარე ქსელის გადატვირთვას, რათა იგი არ დაზიანებულიყო. ქსელი ძველი გაყვანილია და არც მნიშვნელოვანი პროფილაქტიკური სამუშაოები მისი გამართული მუშაობისათვის უახლოეს პერიოდში არ ჩატარებულა. ამპერაჟის გაზრდა ასევე შეზღუდულია გამოყენებული ტრანსფორმატორის მხრიდანაც. მისი სიმძლავრე მხოლოდ 40 კვა აღწევს. ვინაიდან მართვის მოდულში გამოყენებულია 210-300 ამპერიანი 48 ცალი ველიანი ტრანზისტორები, ცხადია მისი საშუალებით შესაძლებელი იქნება 10 000 ამპერის მიღება იმპულსში. ამრიგად მართვის მოდული მზადყოფნაშია ნაპერწკალურ პლაზმური სინთეის დანადგარში უფრო მაღალი სიმძლავრეების გამოყენებისათვის თუ დანარჩენი ბლოკები და გარე ქსელი ამის საშუალებას მოიცემა.

**საჯავშნე მასალებისა და ნაკეთობათა მიღების
თანამედროვე მეთოდების ანალიზი. კვლევების კონკრეტული ამოცანების დასახვა.**


სწრაფი ტექნოლოგიური განვითარება სულ უფრო მეტად მოითხოვს მკვეთრად გაუმჯობესებული მახასიათებლები მქონე ახალი ტიპის მასალებს. შესაბამისად, მთელი მსოფლიოს მასშტაბით, მოწინავე სამეცნიერო ცენტრებში, მეცნიერები მუშაობენ ახალი ტიპის კომპოზიციური მასალების მისაღებად. განსაკუთრებით გამახვილებულია ყურადღება ნანოკრისტალური მასალების მიღებასა და კვლევაზე. ცნობილია, რომ მარცვალთა ზომების ნანო დონემდე შემცირება, კვანტური და ზედაპირული ეფექტების გაძლიერებასთან ერთად, უდიდეს ზეგავლენას ახდენს ნანომასალის თვისებებზე. ამდენად, მასალის საექსპლუატაციო თვისებებს განსაზღვრავს მისი სტრუქტურა, რომელიც ყალიბდება მიღების ტექნოლოგიური ციკლის საწყისი ეტაპიდან.

ცნობილია, რომ ნანოკრისტალური სტრუქტურული მდგომარეობის მქონე ნამზადები ბევრად უკეთეს თვისებებს ამჟღავნებს ვიდრე ჩვეულებრივი სტრუქტურის მქონენი. თუკი არსებობს მრავალი ხერხი ნანოკრისტალური მასალების ფხვნილის სახით მიღებისა, ჯერ კიდევ გადაუჭრელია პრობლემა იგივე შემადგენლობის მასიური ნამზადების მიღებისა ნანოსტრუქტურული მდგომარეობით. ამის მიზეზი კი ისაა, რომ ნანოკრისტალური ფხვნილების კომპაქტირებას და შეცხობას თან ახლავს მარცვლის ინტენსიური ზრდა - პროცესი, რომელიც სასურველ ნანოკრისტალურ მდგომარეობაში ნამზადის მიღების ნაცვლად ხელს უწყობს მის ჩვეულებრივ კრისტალურ მდგომარეობაში ფორმირებას. ძირითადი მეთოდები ნანოკრისტალური მასალების მიღებისა არის შემდეგი: თერმული სინთეზი, სინთეზი მარილის ნალღობში, ჰიდროთერმული სინთეზი, ზოლ-გელ სინთეზი. ყველა ეს მეთოდი გამოიყენება ნანოკრისტალური ფხვნილების მისაღებად. ბოლო დროს შემუშავდა მთელი რიგი ახალი მეთოდები ფხვნილების კომპაქტირებისა მკვრივი მასიური ნანოკრისტალური მასალების მისაღებად. მასიური ნამზადების მიღება საჭიროებს მიღებული ნანოკრისტალური ფხვნილების კომპაქტირებასა და შეცხობას. ეს პროცესი დაკავშირებულია მთელ რიგ პრობლემებთან. მასიური ნამზადის მისაღებად არსებული სტანდარტული მეთოდებია: ცივად დაწნეხვა შემდგომი შეცხობით; ცხლად დაწნეხვა; მაღალი წნევით შეცხობა; ელექტრო განმუხტვით შეცხობა; შოკური ტალღით შეცხობა და გაზოსტატიტ შეცხობა. აღნიშნული მეთოდების ფუძეზე მრავალმა კომპანიამ დააგეგმარა და ააგო სხვადასხვა სახის დანადგარი: ცხლად დაწნეხვის 2400°C, მაქსიმალური წნევა 40MPa (1000A, Thermal Technology INC., USA); მაღალ-ტემპერატურული გრაფიტის ლუმელი, მაქსიმალური ტემპერატურა 2400° C, რომელშიც გათვალისწინებულია მოწვაც (1000-4560-FP20, Thermal Technology INC., USA); naperwklovan პლაზმური სინთეზის დანადგარი (ნპს), მაქსიმალური ტემპერატურა 2000°C, მაქსიმალური დატვირთვა 20000 kN (Dr Sinter 2050, Sumitomo Coal Mining Co., Ltd, Japan); მიკროტალღური შეცხობის დანადგარი, 6

kW მუშაობს 2.45 GHz-ზე (S6G Cober Electronics Inc., USA) და ა.შ. ამ მეთოდებისა და შესაბამისი ხელსაწყოების გამოყენება არ არის ეფექტური ვინაიდან მარცვლი ინტენსიურად იზრდება, რაც იწვევს სასურველი ნანოსტრუქტურის ჩამოყალიბების ნაცვლად ჩვეულებრივი სტრუქტურის მიღებას. ერთ-ერთი გზა მარცვლის ზრდის პროცესის თავიდან აცილებისა არის ფხვნილში ინჰიბიტორების დამატება, თუმცა უნდა ითქვას, რომ ეს არ არის საუკეთესო არჩევანი, ვინაიდან ფხვნილის დაჭუჭყიანებამ შესაძლოა გამოიწვიოს მასალის შემადგენლობის ცვლილება: ნანოკრისტალურობა შესაძლოა გააუმჯობესებს მასალის თვისებებს, მაგრამ ინჰიბიტორების დამატება დაბლა დასწევს მათ. ამიტომ, ნანოკრისტალურობის შენარჩუნებით ინსპირირებული თვისებების გაზრდა არ არის ისეთი ეფექტური, როგორც მოსალოდნელი იყო.

მიუხედავად იმისა, რომ ცივად დაწნება და შემდგომი შეცხობა ვერ უზრუნველყოფს ნანოკრისტალური მასალების მიღებას, ტექნოლოგიის ეკონომიურობის გამო ხშირად მიმართავენ ამ მეთოდს საჯავშნე მასალების მიღების დროს. ამიტომ უპრიანი იქნება ამ მეთოდის უფრო დეტალურად მიმოხილვა.

საყოველთაოდ ცნობილია სალი შენადნობების მიღების სტანდარტული ტექნოლოგია ფხვნილთა მეტალურგიის მეთოდის გამოყენებით. სქემატურად იგი გამოსახულია სურ.14-ზე. კარბიდული კომპონენტები და შემაკავშირებელი მეტალების ფხვნილები ერევა ერთმანეთს და ამავდროულად იფქვება ბურთულებიან წისქვილში ან ატრიტორში. დაწვრილმარცლოვნების ინტენსიფიკაციისათვის იყენებენ სითხის გარემოს ეთანოლის, აცეტონის ან ბენზინის, იშვიათად კი დისტილირებული წყლის სხით. რამოდენიმე ათეული საათის დაფქვის შემდეგ მიღებულ მასას აშრობენ, ცრიან, ურევენ პლასტიფიკატორს. ამზადებენ გრანულებს, წნებავენ ნამზადებს წნეხ-ყალიბებში და აცხობენ მაღალტემპერატურულ წყალბადის ან ვაკუუმურ ღუმელებში.



სურ. 14. სალი შენადნობების წარმოების სტანდარტული ტექნოლოგია იაპონური კომპანია Sumitomo Electronic მიხედვით.

არსებობს მრავალი ლაბორატორიული და საწარმოო დანადგარები ცივად დაწნეხისა და შემდგომი შეცხობის ტექნოლოგიური პროცესის განსახორციელებლად. სურ. 15-ზე ნაჩვენებია საწყის კომპონენტთა შერევისა და დაფქვის მოწყობილობა ბურთულოვანი წისქვილის სახით. წისქვილის ამონაგი და ბურთულები შერჩეულია იმ მასალის მიხედვით რომლის დაფქვაც მიმდინარეობს. დაფქვის ხანგრძლივობა 48-72 საათს შეადგენს. წისქვილში მასალათა დაფქვა შესაძლებელია ნანოზომებამდე.




სურ. 15 . საწარმოო დანიშნულების ბურთულებიანი წისქვილი.

დაფქვის შემდეგ ხდება მიღებული მასის გაშრობა, პლასტიფიკატორის შერევა და ფორმირება სპეციალურ წნებ-ყალიბებში. ფორმირებისათვის გამოიყენება სხვადასხვა ტიპის წნებები. წარმოების ინტენსიფიკაციისათვის შესაძლებელია წნებ-ავტომატების გამოყენებაც. სურ. 16-ზე ნაჩვენებია ფორმირებისათვის განკუთვნილი ერთ-ერთი სახის წნები.



სურ. 16 . ცივად დაწნეხვის წნებ-ავტომატი.

ფორმირებული ნამზადები საჭიროებს შემდგომ შეცხოვას. შეცხოვისათვის გამოიყენება სხვადასხვა ტიპის ღუმელები. ოქსიდური კერამიკის შესაცხოვად გამოიყენება მარტივი ტიპის მაღალტემპერატურული ღუმელები, რომლებიც არ საჭიროებენ სპეციალურ გარემოს. კარბიდული მასალების შესაცხოვად კი საჭიროა ვაკუუმური ან შესაბამისი აირიანი (წყალბადი, აზოტი ან ინერტული აირი) ღუმელები. სურ.17-ზე ნაჩვენებია აირის გარემოიანი სხვადასხვა ტიპის მაღალტემპერატურული ღუმელები, ხოლო სურ.18-ზე კი ვაკუუმური ღუმელი.



სურ. 17 . მაღალტემპერატურული შეცხოვის ღუმელები.



სურ. 18. ვაკუუმური შეცხოვის მაღალტემპერატურული ღუმელი.

არსებობს ტექნოლოგიური პროცესი, როდესაც შესაძლებელია ერთდროულად მოხდეს ნამზადის ფორმირება და შეცხოება. ამ პროცესებში გამოყენებულ დანადგარებში ნამზადები ხურდება ან ნუმუმში უშუალოდ ელექტრულიდენის გატარებით ან კონვექციური გზით, სადაც გამახურებლად მაღალტემპერატურული მასალები გამოიყენება. ასეთი მოწყობილობის ერთერთი ტიპი ნაჩვენებია სურ. 19-ზე.




სურ. 19. ცხლად დაწნების მოწყობილობა.

იმის გამო, რომ შეცხოების პროცესი საკმაოდ ხანგრძლივია, როგორც უკვე ავლინებთ, ზემოთ განხილული ტექნოლოგია ვერ იძლევა ნანომასალების მიღების საშუალებას, მაგრამ ვინაიდან ეკონომიურია სხვა მეთოდებთან შედარებით, ხშირადაა გამოყენებული მასიურ წარმოებაში.

ნანომასალის მისაღებად. მარცვლის ზრდის პროცესის თავიდან აცილებისათვის საჭიროა შეცხოების პროცესების მართვა გარკვეულწილად შეზღუდულ დროში. ამ გზის რეალიზაცია შესაძლებელია დანადგარში, რომელიც ეფუძნება ნაპერწკალურ პლაზმური სინთეზის (SPS, ნპს) მეთოდს. მეთოდი შედარებით ახალია და მისი გამოყენება შეიძლება წვრილდისპერსული მიკროსტრუქტურის მქონე კომპოზიციური მასალების *in situ* მისაღებად და მათი სინთეზირებისათვის. მიუხედავად იმისა, რომ უკვე შემუშავებული და აგებულია ნპს მეთოდზე დაფუძნებული საწარმოო დანადგარები, ფიზიკური არსი მიმდინარე პროცესებისა ჯერ კიდევ არაა ბოლომდე ნათელი. ამიტომ, ყოველი ახალი მასალის მიღებისას ამ დანადგარის გამოყენებით, მეცნიერები კვლავ განაგრძობენ შეცხოების მეთოდების შესწავლას.


SPS მოწყობილობა (სურ.20) დაპროექტებული იყო და დამზადდა ჩვენს მიერ, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტრუქტურულ კვლევათა რესპუბლიკურ ცენტრში. მოწყობილობა თავისი მონაცემებით არ ჩამოუვარდება ანალოგიურ

წარმოება. მათი მუშაობის პრინციპი ანალოგიურია იაპონურისა. ყველა მოწყობილობაში გამოიყენება მუდმივი პულსირებადი დენი. ეს გარემოება გამოწვეულია იმით რომ ძნელია ცვლადი დენის მართვა. ჩვენს მიერ მოძებნილ იქნა ამ პრობლემის მარტივად გადაჭრის გზა. ჩვენს მოწყობილობაში გამოყენებულია პულსირებადი მუდმივი დენი. დენის სიხშირის ცვლილება შესაძლებელია 1-400 ჰერცამდე. ჩვენმა წინასწარმა გამოკვლევებმა გვიჩვენეს, რომ შეცხოების დროის კიდევ უფრო შემცირება და SPS პროცესის ეფექტურობის გაზრდა შესაძლებელია თუ მუდმივი პულსირებადი დენის ნაცვლად გამოვიყენებთ ცვლად პულსირებად დენს. ცვლადი პულსირებადი დენის გამოყენებით, ჩვენს SPS და იაპონურ მოწყობილობაში ამჟამად გამოყენებული რეჟიმების რეალიზებაა შესაძლებელი. ცვლადი პულსირებადი დენის გამოყენებისას მოსალოდნელი ეფექტურობის გაზრდა შემდეგი მოსაზრებითაც შესაძლებელია ავხსნათ. როგორც ცნობილია SPS პროცესის დროს ფხვნილის ნაწილაკებს შორის ნაპერწკალის წარმოქმნას ხელს უწყობს ნაწილაკების ზედაპირზე არსებული მინარევები და გაზები. მუდმივი პულსირებადი დენის გავლისას ორი მეზობელი ნაწილაკიდან ერთი კათოდს წარმოადგენს მეორე კი ანოდს. ელექტრონების ნაკადის შექმნა და ზედაპირული აორთქლება ძირითადად მხოლოდ ერთი ნაწილაკის ზედაპირიდან მოხდება. ცვლადი პულსირებადი დენის გამოყენების შემთხვევაში კი ვინაიდან კათოდი და ანოდი ადგილებს შეიცვლიან, ორივე ნაწილაკების ზედაპირები მიიღებენ მონაწილეობას ამ პროცესში. ელექტრონული ნაკადი, თავის მხრივ იწვევს იონიზაციას და წარმოქმნილ იონებთან ერთად ხელს უწყობს ნაპერწკალის წარმოქმნას და პლაზმური პროცესების განვითარებას. ცხადია ცვლადი დენის შემთხვევაში პლაზმური პროცესები უფრო სწრაფად, ეფექტურად და სტაბილურად უნდა წარიმართოს. მოდერნიზაციის შემდეგ, ჩვენს მიერ შემუშავებულ SPS მოწყობილობას ექნება საშუალება იმუშაოს როგორც ცვლადი ასევე მუდმივი პულსირებადი დენის რეჟიმში. ამ ორ რეჟიმით სინთეზირებული სხვადასხვა კომპოზიციური მასალების კვლევა საშუალებას მოგვცემს ცალსახად დავადგინოთ რომელი მეთოდია უფრო ხელსაყრელი. არცერთ აქამდე არსებულ ნაპერწკალურ პლაზმური სინთეზის დანადგარში არ არის გამოყენებული ცვლადი (პირდაპირი და უკუ) იმპულსური დენი. მიუხედავად იმისა, რომ არსებობენ ასეთი ტიპის დენის მომცემი კვების ბლოკები. ეს კვების ბლოკები გამოყენებას ელექტროქიმიაში, კერძოდ სხვადასხვა მეტალთა გალვანირებისას პოულობს. ამგვარად ასეთი ტიპის კვების ბლოკის შექმნა მოგვცემს საშუალებას ნაპერწკალურ პლაზმური სინთეზის მოწყობილობა თვისობრივად გარდავქმნათ, რაც თავის მხრივ მოგვცემს საშუალებას მივიღოთ ახალი ტიპის მასიური ნაწარმასალები, რომელთა მიღებაც თანამედროვე მოწყობილობების საშუალებით შეუძლებელია. SPS მოწყობილობის მუშაობის სქემა, SPS SYNTAX INC მიხედვით, ნაჩვენებია სურ.22a-ზე. მაღალი სიდიდის მქონე პულსირებადი მუდმივი დენი გადის გრაფიტის წნეხ-ყალიბში მოთავსებულ ფხვნილში. ფხვნილში გამავალი დენი ქმნის რკალს ფხვნილის ნაწილაკებს შორის რაც იწვევს პლაზმურიპროცესისა და ნაწილაკებს შორის შეცხოების პროცესის დაწყებას (სურ. 22b). რკალი ნაწილაკების ზედაპირებს შორის იქმნება მხოლოდ დროის მცირე მონაკვეთში იმის გამო რომ სიხშირე პულსირებადი




სურ.22. ნაპერწკლოვან პლაზმური სინთეზის დანადგარის (a) და შეცხოვის პროცესის (b) სქემატური სახე: PDC – პულსირებადი დენის წყარო, S - ფხვნილი, P- დატვირთვა, GD -გრაფიტის წნეხ-ყალიბი, EC - ელექტრული დენი, s - ნაპერწკალი, sp - ნაპერწკალი-პლაზმა, p – ნაწილაკი.

დენისა მაღალია. ეს მცირე პერიოდი სრულიად საკმარისია იმისთვის, რომ შეიქმნას მაღალი ტემპერატურა და შესაბამისად წარიმართოს შეცხოვის პროცესი, მაგრამ არ არის საკმარისი იმისთვის, რომ ეს ტემპერატურა გავრცელდეს ნანოკრისტალურ ნაწილაკებში და აწიოს მათი ტემპერატურა. ამიტომაც, რომ მთლიანი მასის ტემპერატურა რჩება დაბალი და ხელს არ უწყობს მარცვლის ზრდის პროცესებს, მაშინ როცა ნაწილაკების ზედაპირთა შეხების წერტილებში ტემპერატურა სრულიად საკმარისია შეცხოვის პროცესების წარსამართად. სურ.23-ზე ნაჩვენებია იაპონური მოწყობილობაში გამოყენებული პულსირებადი მუდმივი დენის ფორმა. პულსირებადი დენის სიხშირე მუდმივია და დაახლოებით 300 კერცს შეადგენს. იმპულსებს შორის პერიოდი 3.3 მწმ შეადგენს. რეჟიმის ცვლილება იაპონურ მოწყობილობაში შესაძლებელია იმპულსების რიცხვისა და პაუზის თანაფარდობის ცვლილებით, თუმცა ისინი მხოლოდ 12 იმპულსი 2 პაუზა თანაფარდობას იყენებენ.



სურ.23. იაპონურ SPS მოწყობილობის პულსირებადი მუდმივი დენის (Pulse DC) ფორმა.


სურ.24-ზე ნაჩვენებია ჩვენს მოწყობილობაში გამოყენებული პულსირებადი მუდმივი დენის ფორმა. დენის სიხშირის ცვლილება შესაძლებელია 1-400 ჰერცამდე. მაქსიმალური სიხშირის შემთხვევაში პერიოდის სიდიდე 2.5 მწმ შეადგენს (სურ. 24a). დენის ხანგრძლივობა (t) პერიოდში (T) შეიძლება ვცვალოთ 1-99 % ფარგლებში (სურ. 24b). ანუ ჩვენს მოწყობილობაში შესაძლებელია გამოვიყენოთ არაპულსირებადი მუდმივი დენიც კი (სურ. 24c). დენის სიხშირის (ანუ T პერიოდის) და t/T ფარდობის



სურ.24. შემუშავებული SPS მოწყობილობაში გამოყენებული დენის ფორმა: a- 400 ჰერცი სიხშირის დროს, b- სხვადასხვა სიხშირის (T), იპულსის სხვადასხვა ხანგრძლივობის (t) და პაუზის სხვადასხვა ხანგრძლივობის (T-t) დროს, c- არაპულსირებადი მუდმივი დენის დროს.


ცვლილების საშუალებით შესაძლებელია ფართო დიაპაზონში ვცვალოთ მასალათა მიღების რეჟიმები და შევისწავლოთ მათი გავლენა მიღებულ მასალათა თვისებებზე. ჩვენს SPS მოწყობილობაში ასევე არის საშუალება მივიღოთ ზუსტად ის რეჟიმიც, რომელიც რეალიზებულია იაპონურ მოწყობილობაში. ამრიგად ჩვენი SPS მოწყობილობას რეჟიმთა ვარიანტების უფრო ფართო არეალი გააჩნია. ჩვენმა წინასწარმა გამოკვლევებმა გვიჩვენეს, რომ შეცხოების დროის კიდევ უფრო შემცირება და SPS პროცესის ეფექტურობის გაზრდა შესაძლებელია თუ მუდმივი პულსირებადი დენის ნაცვლად გამოვიყენებთ ცვლად პულსირებად დენს (სურ. 25a). ცვლადი პულსირებადი დენის გამოყენებით, ჩვენს SPS და იაპონურ მოწყობილობაში ამჟამად გამოყენებული რეჟიმების რეალიზება შესაძლებელია შესაბამისად სურ.25b და სურ.25c ნაჩვენები დენის ფორმის მიხედვით. ცვლადი პულსირებადი დენის გამოყენებისას მოსალოდნელი ეფექტურობის გაზრდა შემდეგი მოსაზრებითაც შესაძლებელია ავხსნათ. როგორც ცნობილია SPS პროცესის დროს ფხვნილის ნაწილაკებს შორის ნაპერწკალის წარმოქმნას ხელს უწყობს ნაწილაკების ზედაპირზე არსებული მინარევები და გაზები. მუდმივი პულსირებადი დენის გავლისას ორი მეზობელი ნაწილაკიდან ერთი კათოდს წარმოადგენს მეორე კი ანოდს (სურ.26). ელექტრონების ნაკადის შექმნა და ზედაპირული აორთქლება ძირითადად მხოლოდ ერთი ნაწილაკის ზედაპირიდან მოხდება. ცვლადი პულსირებადი დენის გამოყენების შემთხვევაში კი ვინაიდან კათოდი და ანოდი ადგილებს შეიცვლიან,

ორივე ნაწილაკების ზედაპირები მიიღებენ მონაწილეობას ამ პროცესში. ელექტრონული ნაკადი, თავის მხრივ იწვევს იონიზაციას და წარმოქმნილ იონებთან ერთად ხელს უწყობს ნაპერწკალის წარმოქმნას და პლაზმური პროცესების განვითარებას. ცხადია ცვლადი დენის შემთხვევაში პლაზმური პროცესები უფრო სწრაფად, ეფექტურად და სტაბილურად უნდა წარიმართოს. მოდერნიზაციის შემდეგ, ჩვენს მიერ შემუშავებულ SPS მოწყობილობას ექნება საშუალება იმუშაოს როგორც ცვლადი ასევე მუდმივი პულსირებადი დენის რეჟიმში. ამ ორ რეჟიმით სინთეზირებული სხვადასხვა კომპოზიციური მასალების კვლევა საშუალებას მოგვცემს ცალსახად დავადგინოთ რომელი მეთოდია უფრო ხელსაყრელი.



სურ.25. SPS მოწყობილობის მოდერნიზაციის შემდეგ გამოსაყენებელი დენის ფორმა: a- 400 ჰერცი სიხშირის დროს, b- სხვადასხვა სიხშირის (T), იპულსის სხვადასხვა ხანგრძლივობის (t) და პაუზის სხვადასხვა ხანგრძლივობის (T-t) დროს, c- იაპონური მოწყობილობის სქემით, ოღონდ მუდმი იმპულსური დენის მაგივრად ცვლადი იმპულსური დენის გამოყენებით.

ჩვენმა გამოკვლევებმა გვიჩვენა, რომ ნპს მეთოდის გამოყენება არ არის ეფექტური არაგამტარი მასალებისთვის ვინაიდან ასეთ მასალებში ნაწილაკებს შორის რკალი არ წარმოიქმნება. ზოგიერთ დიელექტრიკულ მასალებში გამტარებლობის კომპენსირება ხდება მაღალ ტემპერატურებზე. გრაფიტის წნეხ-ყალიბში დენის გატარებით გამოიყოფა სითბო, რომელიც ახურებს ფხვნილს და მას გამტარუნარიანობას ანიჭებს. შემდგომ ხდება პლაზმური პროცესებისა და შესაბამისად შეცხოების პროცესების რეალიზება და ნაწილაკების ნანოკრისტალურობა შენარჩუნებულია. ცხადია, თუ გამოყენებული ფხვნილი მაღალ ტემპერატურაზე არ იძენს გამტარებლობას, მაშინ რკალურ-პლაზმური პროცესები ვერ განხორციელდება; შეცხოების პროცესის განხორციელებისთვის აუცილებელია მასის ტემპერატურის აწევა, მაგრამ ასეთ შემთხვევაში ნანოკრისტალურობას ვერ შევინარჩუნებთ. არსებობს აგრეთვე სხვა



სურ.26. ნაპერწკლოვან პლაზმური სინთეზის პროცესის წარმართვის მექანიზმი SPS SYNTEX INC კომპანიის მიხედვით.

პრობლემაც, რაც დაკავშირებულია ნანოფხვნილების ნაწილაკების აგლომერაციასთან. ასეთი ფხვნილების გამოყენებისას რკალურ-პლაზმური პროცესები რეალიზებადია, მაგრამ არა ნანო ნაწილაკებს შორის, არამედ აგრეგირებულ ნაწილაკებს შორის და შესაბამისად, შეცხოვის პროცესები მიდის აგრეგირებულ ნაწილაკებს შორის. ასეთ შემთხვევებში აგრეგირებულ ნაწილაკებს შორის არსებული ფორები უცვლელი რჩება. ამის გამო მიღებული შეცხოვილი პროდუქტი, მართალია, იქნება ნანოკრისტალური, მაგრამ მეტად ფორიანი. ცხადია, ასეთ მასალას ვერ ექნება კარგი თვისებები. შეგვიძლია გამოვიყენოთ ინჰიბიტორები არა-აგრეგირებული ფხვნილების მისაღებად, მაგრამ, როგორც ზევით აღვნიშნეთ მათი დამატებაც გარკვეულ პრობლემებთანაა დაკავშირებული. აღნიშნული პრობლემის გადაჭრა შესაძლებელია თუ SPS მოწყობილობა აღჭურვება მაღალი ძაბვის კონდენსორული განმუხტვის, პულსირებადი წნევისა და ულტრაბგერითი აგზნების საშუალებებით. კონდენსატორული განმუხტვის მეთოდის გამოყენება გვაძლევს არაგამტარი ფხვნილების ნაწილაკთა შორის ნაპერწკალს, შედეგად, წარმოქმნება პლაზმა და შემდეგ პროცესი ისე მიმდინარეობს როგორც სტანდარტულ SPS დანადგარებში; ხდება ფხვნილის კომპაქტირება ისე, რომ შენარჩუნებულია ნანოკრისტალურობა; პულსირებადი წნევისა და ულტრაბგერითი ზემოქმედების გამოყენება ამცირებს ნამზადების ფორიანობას უწყობს რა ხელს SPS პროცესების

ოპტიმალურად წარმართვას. ულტრაბგერითი ზემოქმედების ეფექტურობის გაზრდისათვის საჭიროა ულტრაბგერითი ზემოქმედება იყოს ზედასთან ერთად ქვედა პუნსონდანაც, ისე რომ შეიქმნას მდგარი ტალღა.

საჯავშნე მასალების მთავარი კროტერიუმებია ადამიანის სიცოცხლის დაცვის ეფექტურობა და წონა. ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომის დროს საჯავშნე მასალებად გამოიყენებოდა მეტალის ფილები, რომელიც იყო მძიმე, არა ეფექტური და აფერხებდა ჯარისკაცის მობილობას. მოყოლებული ამ პერიოდიდან დღემდე საჯავშნე მასალების ინდუსტრია ითვლება ყველაზე რთულ და ამავედროულად ყველაზე მომგებიან საქმიანობად. ცხადია იყო შეჯიბრი სხვადასხვა მოწინავე ქვეყნებს შორის, ამ სფეროში ინოვაციების მიღწევაში. შემუშავებულია მთელი რიგი სხვადასხვა კერამიკული და კომპოზიციური მასალები, რომელთა ტექნიკური მახასიათებლების გასაუმჯობესებლად წამყვანი სამეცნიერო ჯგუფები მუშაობენ. წონისა და გამძლეობის გაუმჯობესებასთან ერთად პირდაპირ პროპორციულად იზერდება ჯავშან მასალების ფასები. ტექნოლოგიურ წინსვლასთან ერთად ჯავშან საწინააღმდეგო ტყვიებიც უმჯობესდება ამდენად, საჯავშნე მასალების დახვეწა და წარმოება მუდამ აქტუალურ თემად რჩება.

ჯავშან ჟილეტების წარმოების პროცესში უნდა განიხილებოდეს ძალზედ მნიშვნელოვანი საკითხები როგორცაა, იმპულსი, მასა, ძალა, ენერჯია და სხვა. ჩამოთვლილი ფაქტორებიდან რომელი უფრო მინიშნელოვანია, ხოლო სხვადასხვა მწარმოებლები თუ რამდენად ხარისხიანად ახერხებენ ყველაფრის გათვალისწინებას მასალების შერჩევისას, საბოლოო შედეგის მიხედვით შეიძლება შეფასდეს. ტყვიის შეჩერების უნარი შეიძლება ჩაითვალოს წარმატებად გარკვეულწილად, თუმცა დახურული ტრავმა, რომელიც დარტყმითი ძალით მიაღწა ადამიანს ასევე გასათვალისწინებელი და მნიშვნელოვანია. ასე რომ ტყვიის შეკავების, მცირე წონის და მოქნილობის გარდა ჯავშან ჟილეტს უნდა გააჩნდეს ადამიანის ტრავმირების დაბალი კოეფიციენტი [1].

როდესაც ჯავშან საწინააღმდეგო ტყვია დაეჯახება კერამიკულ ფილას ტყვიის ცხვირი დაიმსხვრევა ან დაიჭეჭყება, ამდენად შემცირდება მისი მასა და ენერჯია. ამის გარდა კერამიკა ანაწილებს დატვირთვას დიდ ფართზე. ხოლო საყრდენი ფილა შთანთქავს ტყვიის დარჩენილ კინეტიკურ ენერჯიას პლასტიკური დეფორმაციის ხარჯზე-მეტალის შენადნობის შემთხვევაში ან ელასტიური დეფორმაცია/დაზიანების ხარჯზე-კომპოზიციური საჯავშნე ქსოვილის დროს. ამისდა მიუხედავად კერამიკული მასალები არსებითად მსხვრევადია და მაღალი სიმყიფისაა მეტალთან შედარებით. მომენტალურად ტყვიასთან კონტაქტისას დარტყმითი ტალღა გენერირდება კერამიკულ ფილაში და ბზარების ფრონტი ვრცელდება ტყვია/კერამიკის კონტაქტის წერტილის კიდებიდან. როდესაც ეს შეკუმშული ტალღა მიაღწევს ადგეზიურ ფენას საყრდენი ფილის ზედაპირზე, დაბალი მექანიკური წინააღმდეგობით, გაჭიმვის ძალები წარმოიშვება კერამიკული ფილის უკანა

მხარეზე და რადიალური ბზარები უკუგავრცელდება ტყვიის მიმართულებით. რასაც შედეგად მოსდევს კერამიკის სრული მსხვრევა ბზარების შერწყმით. თუმცა ფრაგმენტაცია, რომელიც მთელი შეღწევადობის პროცესის განმავლობაში გრძელდება და დარტყმის პირველივე მიკროწამებზე წარმოიშვება, ითვლება ძირეული ფაქტორად კერამიკის წინააღობის დასუსტებაში. ამ ფრაგმენტაციის დასრულებამდე კერამიკული მასალა ტყვიის მიმართულებით დეფორმირდება ერთდერძიან მდგომარეობაში. ამდენად მასალა აჩვენებს უდიდეს წინააღობის ძალებს ტყვიის მიმართ ხოლო თავად ტყვიის წვერი საკმაოდ იმსხვრევა [2].

კომპოზიციური კერამიკები როგორც წესი განკუთვნილია საჯავშნე მასალად, რომელთაც უნდა დაიცვან ობიექტი ჯავშან საწინააღმდეგო ტყვიებისაგან, მაღალკინეტიკური ენერჯის მქონე ჭურვებისაგან, მცირე შეიარაღებისა და ტყვიამფრქვევის ტიპის იარაღისაგან. ჯავშანსაწინააღმდეგო ტყვიის ცენტრი გარედან დაფარულია ზომიერი სიმკვრივის სალი შენადნობით (HV5 848–870), ან უფრო მაღალი სიმკვრივისა და სისალის მქონე ვოლფრამის კარბიდით (HV5 1347–1394). ამდაგვარი ტყვიებს როგორც წესი ხასიათდებიან სიგრძე დიამეტრის თანაფარდობის კოეფიციენტით (L/D) დიაპაზონში 3:1/5:1. საყოველთაოდ აღიარებული მაღალი დონის კალიბრის ტყვია 14,5 მმ-იანია [3].

ინდუსტრიულ წარმოებაში საჯავშნე მასალეზად ძირითადად გამოიყენება ალუმინის ოქსიდი, სილიციუმის კარბიდი, ბორის კარბიდი და ცირკონიუმ-ალუმინის ოქსიდი.

საყოველთაოდ არის ცნობილი ბორის კარბიდი, როგორც არალითონური სალი მასალა. ბორის კარბიდის მთავარი მახასიათებლებია მაღალი დნობის ტემპერატურა, მაღალი მექანიკური სიმტკიცე დაბალ სიმკვრივესთან ერთად, ნეიტრონების მაღალი შთანთქმელობითი უნარი, ნახევარგამტარული მახასიათებლები, მაღალი ბალისტიკური თვისებები. მიღებულია მკვრივი და მექანიკურად მტკიცე კერამიკული მასალები ბორის კარბიდისა სხვადასხვა დანამატებით, იაფი კარბოთერმული მეთოდით, სადაც საწყის პროდუქტებად გამოყენებულია მური და ბორის ანჰიდრიდი, ნახშირბადის ტეტრაქლორიდისა და ამორფული ბორის ფხვნილის ურთიერთქმედებით ავტოკლავში 600°C ტემპერატურაზე მეტალური ლითიუმის თანაობისას, ბორის მაჟავისა და პოლივინილ სპირტის ურთიერთქმედებით, ნაპერწყალურ პლაზმური სინთეზის მეთოდით, არგონის ატმოსფეროში რკალური დნობით, თვითგავრცობადი მაღალტემპერატურული სინთეზისა და ფსევდო იზოსტატიკური დაწნევის მეთოდით, სადაც საწყის კომპონენტებად გამოყენებულია Ti, B₄C და ნახშირბადის ფხვნილი, ბურთულოვანი წისქვილის გამოყენებით, სადაც ასევე საწყის კომპონენტებად გამოყენებულია Ti, B₄C და ნახშირბადის ფხვნილის ნარევი, კრიოგენული დაფქვისა SPEX და SPS მოწყობილობებთან კომბინირებით, არაჰიდროლიზური ზოლ-გელ მეთოდის გამოყენებით და შემდგომი მოწვით ამიაკის ატმოსფეროში. ბორის კარბიდი კვლავ ინარჩუნებს ლიდერის პოზიციას ჯავშან მასალებში, რომელსაც ახასიათებს

საუკეთესო კომბინაცია დაბალი სიმკვრივისა და მაღალი იუნგის მოდულის. ეს კომბინაცია უზრუნველყოფს მაღალი სიჩქარის მქონე ტყვიისადმი განსაკუთრებულად მაღალ გაჩერების ძალის წარმოქმნას. ბორის კარბიდი მიიღება ბორისა და კარბიდის ელემენტების ფხვნილის კარბოთერმული რეაქციით, 1500°C BCl_3 აღდგენით CH_4 ლაზერის მეშვეობით, CCl_4 , BBr_3 და Na ხსნარის დაბალ ტემპერატურული სინთეზით, თვითგანვრცობადი მაღალტემპერატურული სინთეზით, ბორის მჟავის გელის პიროლიზით [1]. სუფთა B_4C მიღება ძალზედ დიდ სირთულეს წარმოადგენს საკმაოდ მაღალი დნობის ტემპერატურის გამო. ამიტომ მიმართავენ სისტემაში სხვა ელემენტების დამატებას, რათა მოახდინონ შეცხოების ტემპერატურის დაწვევა. სრულყოფილად შეცხოებილი ბორის კარბიდის მიღება შესაძლებელია ცხლად დაწნეხვის მეთოდით მხოლოდ $2150-2200^{\circ}\text{C}$ -ზე, მაშინ როცა 96%-იანი სიმკვრის ნიმუში მიღებულია გაცილებით დაბალ ტემპერატურაზე SPS მეთოდის გამოყენებით. $\text{B}_4\text{C} + \text{Fe}$ 5,5% მოც. ნიმუშის შეცხოების ტემპერატურის დაწვევა ხდება რკინის დამატების ხარჯზე [4].

ეკონომიკური და ტექნოლოგიური თვალსაზრისით ყველაზე ოპტიმალურ მასალას ალუმინის ოქსიდი წარმოადგენს. ამდენად ალუმინი არის ყველაზე აქტიურად გავრცელებული ტიპის კერამიკა ჯავშანტექნიკის ინდუსტრიაში მიუხედავად მისი დაბალი სიმკვრივისა (3.95 გმ/სმ^3). ამ მასალას გააჩნია შედარებით მაღალი ფიზიკური თვისებები და მახასიათებლები, დაბალი ფასი და შესაძლებლობა წარმოებულ იქნას სხვადასხვა მეთოდებით, მაგ: ჩამოსხმით, დაწნეხვით, გაფრქვევით ფორმირებით, ყოველგვარი ძვირად ღირებული დანადგარების გამოყენების გარეშე და მარტივი პროცესებით. მაშინ როცა სხვა საჯავშნე მასალების (ბორიდები ნიტრიდები და მათი კომპოზიციები) მიღების მეთოდი უმეტესად ცხლად დაწნეხვაა, რაც საკმაოდ ძვირად ღირებული და არა ეფექტური მეთოდია. ასევე წნევის გარეშე შეცხოებით მიღებული მასალები, მაგ: სილიციუმის კარბიდი შესაძლებელია იყოს ნაკლებად ძვირი ვიდრე ცხლად დაწნეხილი თუმცა, მაინც მაღალია მათი ფასი რადგან, წარმოება მოითხოვს მაღალტემპერატურულ ღუმელში შეცხოებას სპეციალურ კონტროლირებად ატმოსფეროში.

რეაქცია-შეკავშირებული სილიციუმის კარბიდი, ბორის კარბიდი და ამ ტიპის სხვა კარბიდები ასევე ფართოდ გამოიყენება ჯავშან წარმოებაში მათი შედარებით დაბალი ფასისა და მაღალი მახასიათებლების გამო. ამასთანავე მარტივია ამ მასალებით დიდი გაბარიტების მქონე ნაკეთობების წარმოება [5].

ჯავშან მასალების წონის ეფექტურობის გაუმჯობესებისათვის შემუშავებულ უნდა იქნას ახალი ტიპის მსუბუქი მასალები. ფუნქციონალური გრადინეტული მასალების გამოყენება ასევე შესაძლებელია საჯავშნე წარმოებაში. აუცილებელია დადგინდეს თანაფარდობა შემადგენლობას, მაქანიკურ და ბალისტიკურ თვისებებს შორის და ამის მიხედვით შესაძლებელია დადგინდეს სასურველი მასალის კომბინაცია.

ტიტანის დიბორიდისა და ტიტანის სიტემა საკმაოდ კარგად ცნობილი მასალებია და კარგად აკმაყოფილებს ბალისტიკურ მოთხოვნებს. საკმაოდ ბევრი სამეცნიერო კვლევაა ჩატარებული ამ მასალის ცხლად იზოსტატური წნევითა და ნაპერწკლოვან პლაზმური შეცხოვით მისაღებად. ცნობილია მათი ურთიერთ შედარების კვლევების შედეგები.

ნაპერწკლოვან პლაზმური შეცხოვბისას, მსგავსად ცხლად დაწნევისა, საწყისი კომპონენტები თავსდება ყალიბში და შეხცობა ხორციელდება მაღალი წნევების ქვეშ. განსხვავებაა გახურების სიტემაში, სადაც ნჰს-ის დროს ტემპერატურა გამოიყოფა მხოლოდ ნიმუშში და არა გარედან მუშა კამერის გახურების გზით. მაღალი პულსირებადი დენი გაივლის ყალიბში მოთავსებულ ნიმუშში და მიმდინარე რთული პლაზმური პროცესების ხარჯზე გაცილებით სწრაფად ხდება სასურველი ტემპერატურის მიღწევა, მასალის ტემპერატურის თვითგანვრცობადი თვისებების წყალობით წუთების განმავლობაში მიიღება სრულად შეცხოვბილი ნიმუში. ნჰს მეთოდი ინარჩუნებს ლიდერობას სხვა მეთოდებთან შედარებით მცირე შეცხოვბის დროისა და დაბალი ტემპერატურული რეჟიმების წყალობით. რაც ახალი კომპლექსური მასალების მიღების და შესწავლის შესაძლებლობებს იძლევა. მოცემულ კვლევაში ნჰს მეთოდით მიღებული $SPS-(TiB_2)_{0.95}(Ti)_{0.05}$ უკეთესი მეანიკური და ბალისტიკური მახასიათებლები გააჩნია ვიდრე ცხლად იზოსტატური შეცხოვბით მიღებული $HIP-TiB_2$. მექანიკური თვისებები როგორებიცაა: სიმკვრივე, სისალე, სიმყიფე და სიმტკიცე ღუნვაზე, აღმოაჩნდა ნჰს ნიმუშს უფრო მაღალი. ასევე ბალისტიკური ტესტის შედეგად დადგინდა რომ HIP ნიმუში მეტად არასტაბილურია ჯავშან საწინააღმდეგო ტყვიის მიმართ [6].

რეაქცია-შეკავშირებული (რშ) სილიციუმის კარბიდის მისაღებად ტრადიციული მიღების მეთოდი მოიცავს კომპაქტირებული SiC -ს განჟღენთვას ნახშირბადისა და გადამდნარი სილიციუმის ნარევით. ხშირად თავისუფალი ნახშირბადი ფორმირდება ორგანული ფისების პიროლიზის შედეგად, რომელსაც შეიცავდა სილიციუმის კარბიდი. რეაქცია თავისუფალ ნახშირბადსა და გადამდნარ სილიციუმს შორის წარმოქმნის სილიციუმის კარბიდს მარცვლებს, რომლებიც დაილექება თავდაპირველ SiC ნაწილაკებზე, შეაკავშირებს მათა და შექმნის უწყვეტ კერამიკულ კარკასს. ტიპური რშ სილიციუმის კარბიდი ხასაითდება დაახლოებით 85 % ურთიერთშეკავშირებული SiC ნაწილაკებისაგან და თავისუფალი სილიციუმისაგან. მთავარი უპირატესობა ამ მეთოდით რშ სილიციუმის კარბიდის კომპოზიტის მიღების მდგომარეობს შედარებით დაბალ ტემპერატურაში (~ 1500 °C) ცხლად შეცხოვბასთან შედარებით. მისი უარყოფითი მხარეებია ა. შეუთავსებელი ბუნება პიროლიზის პროცესისადმი რაც ტოქსიკური გაზების გამოყოფით ხასაითდება. ბ. ნარჩენი სილიციუმის არსებობა ასუსტებს საბოლოო პროდუქტის მექანიკურ თვისებებს. მრავალი კვლევაა ჩატარებული ამ პრობლემის აღმოსაფხვრელად. ერთერთი მთოდია ბორის კარბიდის დამატებაა როგორც ნახშირბადის ალტენატიული წყარო. B_4C შედის რეაქციაში მდნარ სილიციუმთან და წარმოქმნის

რთულ კარბიდს B–C–Si. გარდა თავისუფალი სილიციუმის შემცირებული რაოდენობისა ამ მეთოდის უპირატესობა არის გაზრდილი მექანიკური თვისებები, კერძოდ სიმკვრივის შემცირება. რაც განპირობებულია კომპოზიციაში დაბალი სიმკვრივის ბორის კარბიდის დამატებით. წვრილმარცვლოვანი ბორის კარბიდის დამატება კიდევ უფრო ეფექტური გამოდგა ვიდრე მსხვილმარცვლოვანისა, რადგან ასეთი ფხვნილი აჩვენებს მაღალ სტაბილურობას მათი მაღალი ვეიბულის მოდულის ხარჯზე. და რაც მთავარია შემოთავაზებული მეთოდი ეკოლოგიურად სუფთაა და არ იწვევს მავნე ტოქსინების გამოყოფას [7].

გამჭვირვალე პოლიკრისტალური კერამიკების მიღება, რომელთა გამოყენება შესაძლებელი იქნება ტყვიაგაუმტარ მინის სახით, საკმაოდ პრობლემატური საკითხია. თუმცა მათი მაღალი მექანიკური თვისებები, მისაღები ფასი კომბინირებული სრულ გამჭვირვალეობასთან, შესაძლებლობას იძლევა კონკურენცია გაუწიონ მინებსა და მონოკრისტალურ საფირს. მაღალი გამჭვირვალეობის მისაღწევად აუცილებელია მიკროსტრუქტურის განსაკუთრებული კონტროლი და სინათლის სხივის გაბნევის გამომწვევი ნებისმიერი წყაროს აღმოფხვრა (მაგ: ჩანართები, ფორიანობა, დამატებითი არასასურველი ფაზები). სუფთა პოლიკრისტალური ალუმინის ოქსიდი წარმოადგენს ყველაზე ფართოდ გამოყენებად და შესწავლის ობიექტს ამ მიმართულებით. თუმცა გამჭვირვალეობის მიღწევა უფრო რთულია ვიდრე სხვა კუბური სტრუქტურის პოლიკრისტალებში. მისი სხივის ორმაგი გარდატეხის ბუნების გამო. მართლაც სინათლის სხივი არა მარტო ფორებზე განიბნევა, ასევე მარცვლების საზღვრებზე. დადგინდა რომ გაბნევა მაქსიმალურად მცირდება ფორიანობის 0.00% შემთხვევაში და მარცვალთა ზომების რაც შეიძლება შემცირებით. ასეთი ტიპის მიკროსტრუქტურის მიღება შესაძლებელია სხვადასხვა მეთოდებით. იყენებენ მადოპირებელ ელემენტებს (Mg, Y, La, Zr. . .) რაც იძლევა მარცვალთა ზომების შემცირებას. ნაპერწკლოვან პლაზმური სინთეზი ასევე იძლევა საშუალებას დაბალ ტემპერატურებზე მცირე დროის განმავლობაში სრულად შეცხოვილ ნიმუშში შენარჩუნდეს წვრილმარცვლოვნება. მაღალ წნევაზე 500 MPa მიღებულია სრულად გამჭვირვალე ალუმინის ოქსიდი მარცვლოვნებით 645 nm დაახლოებით 1000°C. ცხადია ასეთი წნევის მიღწევა ნჰს-ის დროს შუძლებელია სტანდარტული გრაფიტის წნეხყალიბის გამოყენებით, ამდენად გამოყენებული იყო სპეციალური WC ყალიბი. გამოიყენება ასევე შეცხოვამდე წინასწარი ცივად დაწნევა, რაც ამცირებს ფორიანობას და ხელს უწყობს შეცხოვილი ნიმუშის სიმკვრივის გაზრდას, ამასთანავე მარცვლების მინიმალურ ზრდას [8].

ალუმინის ოქსიდის გარდა გამჭვირვალე პოლიკრისტალურ მასალად ასევე საკმაოდ ფართოდ გამოიყენება მაგნიუმის ალუმინატი შპინელი ($MgAl_2O_4$). ნაპერწკლოვან პლაზმური მეთოდის გარდა აქტიურად აწარმოებენ აცხლად იზოსტატური დაწნეხვითაც. ეს ორივე მეთოდი საშუალებას იძლევა გახურების სწრაფი რეჟიმების წყალობით პროცესი სწრაფად დასრულდეს. ნჰს შეცხოვა 1300°C-ზე გახურების

რეჟიმით 100 °C /წთ იძლევა საუკეთესო განჭვირვალობას, ხოლო დაწოლის წნევით 80 MPa განხორციელდა უშუალოდ მაქსიმალურ ტემპერატურაზე [9].

საუკეთესო მასალას წარმოადგენს TiC–TiB₂ კომპოზიცია თავისი სიმტკიცითა და მაღალტემპერატურული მდგრადობით. თუმცა საკმაოდ მაღალი დნობის ტემპერატურის გამო ამ მასალის ფორმირება საჭიროებს ხანგრძლივ მაღალტემპერატურულ შეცხობას. ეს პროცესი კი თავისთავად გულისხმობს არასასურველი მიკროსტრუქტურის ჩამოყალიბებას, მარცვლების ინტენსიურ ზრდას და მიღების პროცესის სიძვირეს. სწორედ ამიტომ აქტიურად მიმდინარეობს მუშაობა ახალი ტექნოლოგიის შექმნაზე, რომელიც მოგვცემს საშუალებას ერთის მხრივ შენარჩუნდეს შემცხვარი ნიმუშის ნანოკრისტალურობა და მაღალი მექანიკური თვისებები და ასევე მიღების პროცესი იყოს მარტივი და ეკონომიური [10]. ძალიან ბევრი ნაშრომია მიძღვნილი ამ სისტემის ფორმირებაზე SPS მეთოდის გამოყენებით, სადაც ეს პროცესი მიჩნეულია როგორც ერთერთი უალტერნატივო საშუალება ზემოთ მოყვანილი მიზნების მისაღწევად. შეცხობამდე Ti, B₄C და C ფხვნილების ბურთულოვან წისქვილში დაფქვა ხელს უწყობს ნანოკრისტალურობის შენარჩუნებასა და TiC-TiB₂ სისტემის ჩამოყალიბებას [11,12]. ეს სისტემა ასევე მიღებულია მაღალ ენერჯის ბურთულოვან წისქვილებში დაფქვით მიღებული ფხვნილების ცხლად იზოსტატიკური შეცხობით [13]. თვითგანვრცობადი მაღალტემპერატურული სინთეზითაა მიღებული TiB₂–Cu ფხვნილები, თუმცა ამ შემთხვევაში სირთულეს წარმოადგენს შეცხობა, რადგან კომპოზიციურ მასალაში შემავალ ფაზებს გააჩნიათ სხვადასხვა დნობის ტემპერატურები. ამდენად, ასეთ შემთხვევაშიც SPS მეთოდი გამოდგა უპირატესი, რომელიც იძლევა საშუალებას მივიღოთ სრულყოფილად შემცხვარი TiB₂–Cu სისტემის ნანოკომპოზიციური მასალა [14].

ტიტანის დიბორიდს TiB₂ გააჩნია კარგი თერმო მდგრადობა, მაღალი დნობის ტემპერატურა, ქიმიური ინერტულობა და მდგრადობა, ასევე კარგი თერმო და ელექტრო გამტარებლობა. ეს მასალა აქტიურად გამოიყენება ტიგელების, ელექტროდების, დამცავი დანაფარების, საჯავშნე მასალების, საჭრისების და ცვეთამედეგი დეტალების დასამზადებლად. იგი საკმაოდ რთული მისაღებია, რადგან გააჩნია დაბალი თვით-დიფუზიის კოეფიციენტი და როგორც წესი თხევადფაზური სინთეზი მიიღწევა მასზე სხვა მეტალების დამატებით. სინთეზი ხორციელდება 2000°C-ზე. ამ ტემპერატურაზე აღინიშნება მარცვლების მკვეთრი ზრდა, რაც იწვევს ნამზადში მიკრობზარების გაჩენას და მექანიკური თვისებების გაუარესებას. SPS მეთოდით Ti და Ti/TiB₂ კომპოზიტების შეცხობით მიიღება სრულყოფილად შემცხვარი ნიმუშები (შეცხობის რეჟიმებზე: 1500°C, 3წთ, 50მპა). დადგენილია ამ მეთოდის უპირატესობაც ცხლად დაწნეხვის მეთოდთან შედარებით [15]. მსხვილმარცვლოვანი ტიტანის დიბორიდი მიღებულია 1400°C-ზე 10 წუთის დაყოვნებით ასევე SPS მეთოდით. 10%-იანი MoSi₂ დამატებით უნდა მომხდარიყო თვისებების გაუმჯობესება, თუმცა ამ დამატებამ ვერ გამოიღო დამაკმაყოფილებელი


შედეგები ვერც შეცხოების რეჟიმების ოპტიმიზაციის მხრივ და ვერც მექანიკური თვისებების თვალსაზრისით. ამის მიზეზი შეცხოების პროცესში ჩამოყალიბებული საკმაოდ მყიფე $TiSi_2$ და $MoSi_2$ ფაზების იყო [16].

(Ti,Mo,W)(C,N) ბაზაზე არსებული კომპოზიციური მასალები წარმოადგენს საკმაოდ საინტერესო მასალას ფართო სპექტრის თვისებების გამო. მაღალი ცვეთამდეგობა, მაღალი ტემპერატურული სისალე, საუცხოო ქიმიური სტაბილურობა, მხურვალმდეგობა, დაბალი ხახუნის კოეფიციენტი და სხვა. მთელი რიგი კვლევებია მიძღვნილი ამ კომპოზიციის მისაღებად მათ შორის SPS მეთოდიც აქტიურად გამოიყენება ნანოკრისტალური შემცხოვილი ნიმუშების მისაღებად [17-24].

პროექტით გათვალისწინებული მისაღები კომპოზიციური მასალები განეკუთვნება აეროკოსმოსურ და საჯავშნე მასალებს. თუმცა მათი უნიკალური თვისებების გამო, შესაძლებელია ტექნიკის სხვა სფეროებშიც მათი გამოყენება. ცნობილია ამ მასალების მიღების სხვადასხვა ტექნოლოგიები. ეს ტექნოლოგიები ძვირად ღირებული და საკმაოდ რთულია. პროექტის ფარგლებში ჩვენ შევიმუშავებთ ახალ ტექნოლოგიას, რომელიც მოგვცემს ამ მასალების ნანოსტრუქტურული მდგომარეობით მიღებას. კომპოზიციური მასალების ნანოფხვნილების მისაღებად გამოყენებული იქნება თერმო-ქიმიური სინთეზი. შესაბამის კომპონენტთა მარილებიდან მომზადდება კომპლექსური და მეტალოორგანული ნაერთები. ამ ნაერთების მიღება იწარმოებს როგორც მარილთა ხსნარებიდან, ასევე მათი ნალღობებიდან. მარილთა ხსნარების მოსამზადებლად გამოყენებული იქნება უჟანგბადო ორგანული გამხსნელები. მიღებული კომპლექსური და მეტალოორგანული ნაერთების თერმოსინთეზი მოხდება $800-900^{\circ}C$ ტემპერატურაზე. თერმოსინთეზი ჩატარდება წყალბადის და არგონის გარემოში. გამოყენებული იქნება აგრეთვე ვაკუუმიც. ტიტანის კარბიდის ფუძის მქონე კომპოზიციური მასალების მისაღებად გამოყენებული იქნება ტიტანის ჰიდრიდი. გარდა ამისა ნანოკრისტალური კომპოზიციური მასალების ნანოფხვნილებისა და მასიური ნიმუშების მიღება ასევე ნანოსტრუქტურული მდგომარეობით, მოხდება მოდერნიზირებული SPS მოწყობილობის გამოყენებით. საწყისი კომპონენტების წინაწარ შერჩევის შემდეგ მოხდება ფხვნილის მოთავსება გრაფიტის წნეხ-ყალიბში. ფხვნილების მისაღებად გამოიყენება დაწნეხვის მცირე წნევა, ხოლო მასიური ნიმუშების მისაღებად კი მაღალი წნევები. სინთეზი SPS დანადგარზე წარმართება სხვადასხვა რეჟიმების გამოყენებით.

ქვემოთ წარმოდგენილია სახვადასხვა კომპანიების მიერ სხვადასხვა მასალების ფუძეზე შექმნილი საჯავშნე ფილები და ნაკეთობები.

სურ. 27-ზე წარმოდგენილია ოქსიდური კერამიკისაგან დამზადებული მრუდე ზედაპირის მქონე საჯავშნე ნაკეთობა. მისი ზომები $250\text{ მმ} \times 300\text{ მმ}$, ხოლო წონა კი $3,6\text{ კგ}$. ეს საჯავშნე ფილა წარმოადგენს IV კლასის ჯავშანს



სურ. 27. IV კლასის ოქსიდური კერამიკის ჯავშანნაკეთობა.



მზადდება ასეთი ტიპის სხვა ზომების ჯავშანნაკეთობები 200 მმ x 250 მმ, 200 მმ x 200მმ და 150 მმ x 200 მმ ფილებივც.

სურ.28-ზე ნაჩვენებია სხვადასხვა ფორმისა და ზომის ჯავშანფილები.




სურ.28. სხვადასხვა ფორმისა და ზომის ჯავშანფილები.

სურ.29-ზე ნაჩვენებია სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში დამზადებული MOH-9 ტიპის საჯავშნე ფილა ბალისტიკური გამოცდის შემდეგ. როგორც ვხედავთ ფილამ გაუძლო მრავალჯერად დარტყმას. აღნიშნული ჯავსანნაკეთობა არ არის მონოლითური ფილა. როგორც წესი მონოლითური ფილებია არ არიან მრავალჯერადი გამოყენების, ვინაიდან მათზე შესაბამისი ტყვიის მოხვედრისას განიცდიან რღვევას და შემდგომიმ დაცვა პრობლემატური ხდება. თუ კი ჯავსანნაკეთობა შედგენილი იქნება უფრო მცირე ზომის ფილებისაგან, მაშინ მას შეუძლია მრავალჯერადი დარდემებისგან დაცვა.



სურ. 29. MOH-9 ტიპის საჯავშნე ფილა ბალისტიკური გამოცდის შემდეგ.

საკმაო გამოყენება ჰქონდა სილიციუმის კარბიდმა ჯავშანაკეთობების მისაღებად. გამოყენებას პოულობს ალფა სილიციუმის კარბიდი. ნაკეთობის შედარებით დაბალტემპერატურაზე შეცხოვისათვის იყენებენ სილიციუმისა და ნახშირბადის ნარევს. ამ კომპონენტებს შორის მიმდინარე რეაქცია ხელს უწყობს სილიციუმის კარბიდის დაბალტემპერატურულ შეცხოვას. სურ. 30-ზე ნაჩვენებია Hexoloy® ტიპის ჯავშანაკეთობები.



სურ. 30. სილიციუმის კარბიდის ფუძის მქონე Hexoloy® ტიპის ჯავშანაკეთობები.

ალუმინის დიოქსიდისაგან შესაძლებელია დამზადდეს არა მარტო ბრტყელი ფილები არამედ სივრცითი ფორმის ნამზადებიც, როგორებიცაა მაგალითად ჩაფხუტები (სურ.31).



სურ. 31 . ალუმინის დიოქსიდის ჩაფხუტი.

საჯავშნე ნაკეთობების დასამზადებლად დიდი გამოყენება ჰპოვა ასევე Norbide® ტიპის ბორის კარბიდმა, როგორც ძალზე მსუბუქმა და მაღალი სისალის მქონე (რიგით მესამე) მასალამ.



სურ. 32. Norbide® მარკის ბორის კარბიდის მრუდე ზსდაპირის მქონე საჯავშნე ნაკეთობები.

ქვემოთ ნაჩვენებია კომპანია Saint-Gobain - ის მიერ წარმოებული სხვადასხვა საჯავშნე მასალები. ნაჩვენებია თუ სხვადასხვა ტექნოლოგიური რეჟიმებით მიღებული ერთიდაიგივე მასალა როგორ მრავალფეროვან მახასიათებლებს იძენს და შესაძლებელს ხდის მათ გამოყენებას სხვადასხვა მიზნებისათვის.

Saint-Gobain Ceramic Materials For Armor Protection

Physical Properties	Units	Hexoloy® Sintered	CRYSTAR® RB Reaction Bonded	Silit® SKD Reaction Bonded	Norbide® Hot Pressed	T196 Al ₂ O ₃	T198 Al ₂ O ₃	TZ3 Alumina Zirconia	Saphikon® Sapphire
Composition (Phases)		SSiC	SiSiC	SiSiC	B ₄ C	Al ₂ O ₃	Al ₂ O ₃	Al ₂ O ₃ ZrO ₂	Sapphire
Grain Size	µm	4-10	N/A	N/A	8	N/A	N/A	N/A	N/A
Density	g/cm ₃	3.13	3.1	3.05	2.51	3.75	3.80	4.00	3.97
Hardness (Knoop 100 gram load)	kg/mm ₂	2800	N/A	N/A	2800	2000	N/A	N/A	2200
Flexural Strength 4pt. @ RT Test bar size 3 x 4 x 45mm (0.118" x 0.157" x 1.772")	MPa x 10 ⁶ lb/in ²	380 55	200	250	425	300	320	320	760-1035 110-150
Compressive Strength @ RT	MPa x 10 ⁶ lb/in ²	3900 560	850	850	3900 560	>2000	>2000	>2000	2000
Modulus of Elasticity @ RT	GPa x 10 ⁶ lb/in ²	410 59	300-380	300-380	440	300	380	340	435

NATO



Standard STANAG 4569	Type of weapon	Caliber	Bullet		Test condition		Protaurius Protection Level 1-3*	**
			Typ	Mass (gram)	Test range	Bullet velocity		
1	Rifle	7,62X51	M80 Ball	147 gr / 9,5 g	30 m	833 m/s	PPL2	TV
	Rifle	5,56X45	SS109, M193	62 gr / 4 g	30 m	900 m/s	PPL2	TV
2	Rifle	7,62X39	API BZ	120 gr / 7,8 g	30 m	695 m/s	PPL3	TV
3	Rifle	7,62X51	AP WC core	150 gr / 9,8 g	30 m	930 m/s	PPL3	TV
	Rifle	7,62X54R	B32 API	150 gr / 9,8 g	30 m	854 m/s	PPL3	TV
3+	M Machine Gun	12,7X99	M2AP	700 gr / 46 g	30 m	914 m/s	PPL	
4	H Machine Gun	14,5X114	AP / B32	988 gr / 64 g	200 m	911 m/s	PPL	
5	Automatic Canon	25 mm	APDS-TM-791		500 m	1258 m/s	PPL	

ჯავსან ნაკეთობების მიღების კვლევის საქმეში დიდი მნიშვნელობა ენიჭება მათ ბალისტიკური მახასიათებლების დადგენას. გამოცდები უნდა მოხდეს შესაბამისი სტანდარტების მიხედვით. მაგალითისათვის ქვემოთ ნაჩვენებია ცხრილი ჯავშანნაკეთობების ნატო-ს სტანდარტით გამოცდის პარამეტრებით.

თანამედროვე შეიარაღებაში თანდათანობით უფრო მეტად იკიდებს ფეხს ჯავსანგამტანი ტყვიები. ასეთი ტყვიები თუ თავიდან მაღალი სიმტკიცის გულარსგან შესდგებოდა, ეხლა ის ძირითადად ვოლფრამის კარბიდსადა მისი ფუძის მქონე სალ შენადნობებისგან მზადდება. არსებობს ტყვიები, რომლების გულარსაც ურანი წარმოადგენს. სურ.33-ზე ნაჩვენებია ჯავშანგამტანი ტყვიების სხვადასხვა სახეობები.




სურ.33. ჯავშანგამტანი ტყვიები

**კომპოზიციური მასალების ნანოფხვნილების მიღების ტექნოლოგიის
შემუშავება თერმოქიმიური და SPS მეთოდების გამოყენებით.**

ნანოტექნოლოგია და ნანომასალები, ბოლო დროს, მკვლევართა მნიშვნელოვან ყურადღებას იპყრობენ. ახალი ფიზიკური თვისებები, ნანომასალათა მიღების ტექნოლოგიები და მოწყობილობები ნანომეცნიერების განვითარების ინიცირებას ახდენენ. კვლევებში ჩართულია სხვადასხვა სფეროები, როგორებიცაა ფიზიკა, ქიმია, მასალათმცოდნეობა, საინჟინრო, მათ შორის მექანიკა და ელექტროტექნიკა, ელექტრონიკა და სხვა. შემუშავებულია მრავალი მეთოდი, როგორც არაორგანული, ასევე ორგანული ნანომასალების მიღებისა. ასე მაგალითად, პლაზმურ რკალური განმუხტვა მეტალური ნანოფხვნილების მისაღებად, ლაზერული, მათ შორის ქიმიური დაფარვის ტექნოლოგია ორთქლიდან, სპეციალური მასალების მისაღებად, მიკროტალღური პლაზმური სტიმულაციით წარმოებული დაფარვა სალი და მყიფე მასალების მისაღებად, სითხიდან ერთობლივი დაფარვის მეთოდი, რომელიც იძლევა საშუალებას ერთფაზა ნაერთების მიღებისა, ნაერთების მყარფაზოვანი თერმული დაშლა, მეტალთა ოქსიდური მასალების მისაღებად და სხვა მრავალი სპეციფიკური მეთოდები. მეტალთა ნანოფხვნილების მისაღებად შემუშავებული იყო სხვადასხვა მეთოდები, იმისდა მიხედვით თუ რა მიზნით და რა თვისებების მქონენი უნდა ყოფილიყვნენ მისაღები მასალები. ფართოდ გამოიყენებოდა ზოლ-გელ მეთოდი. მარცვლოვანების რეგულირება შესაძლებელია კამერაში გამოყენებული ინერტული აირის სახეობის, მისი წნევის, აორთქლების სიჩქარის და საფენის ტემპერატურის რეგულირებით. მუდმივი ან რადიოსიხშირული ველით გაფრქვევის გამოყენებით შესაძლებელია ძნელად დნობადი ლითონების ამორფული ფხვნილების მიღებაც კი, თუ საფენს არ გავახურებთ. ნანოზომის მარცვლოვანების მიღება შესაძლებელია ბურთულოვანი წისქვილების გამოყენებითაც, განსაკუთრებით სალი და მყიფე მასალებისა როგორებიცაა მაგალითად კარბიდები. თუმცა ამ დროს ადგილი აქვს ფხვნილის დაბინძურებას წისქვილის და ბურთულების მასალებისგან. მაგრამ, თუ გამოვიყენებთ სითხეებს, მაგალითად ეთანოლს და ფენოლს შეგვიძლია დაბინძურება მნიშვნელოვნად შევამციროთ.

მასალათ კომპაქტირებისას გზა მარცვლის ზრდის პროცესის თავიდან აცილებისა არის შემდეგი: შეცხოების პროცესების მართვა გარკვეულწილად შეზღუდულ დროში. ამ გზის რეალიზაცია შესაძლებელია დანადგარში, რომელიც ეფუძნება ნპს მეთოდს. მეთოდი შედარებით ახალია და მისი გამოყენება შეიძლება წვრილდისპერსული მიკროსტრუქტურის მქონე კომპოზიციური მასალების *in situ* მისაღებად და მათი სინთეზირებისათვის. მიუხედავად იმისა, რომ უკვე შემუშავებული და აგებულია ნპს მეთოდზე დაფუძნებული საწარმოო დანადგარები, ფიზიკური არსი მიმდინარე პროცესებისა ჯერ კიდევ არაა ბოლომდე ნათელი. ამიტომ, ყოველი ახალი მასალის მიღებისას ამ დანადგარის გამოყენებით, მეცნიერები კვლავ განაგრძობენ შეცხოების მეთოდების შესწავლას. დანადგარის სქემა ნახვენებია სურ.34-ზე. მაღალი სიდიდის მქონე პულსირებადი მუდმივი დენი გადის გრაფიტის ტიგელში მოთავსებულ ფხვნილში. ფხვნილში

გამავალი დენი ქმნის რკალს ფხვნილის ნაწილაკებს შორის რაც იწვევს პლაზმური პროცესისა და ნაწილაკებს შორის შეცხობის პროცესის დაწყებას (სურ. 34ბ). რკალი ნაწილაკების ზედაპირებს შორის იქმნება მხოლოდ დროის მცირე მონაკვეთში



სურ. 34. ნაპერწკლოვან პლაზმური სინთეზის დანადგარის (a) და შეცხობის პროცესის (b) სქემატური სახე: PDC – პულსირებადი დენის წყარო, S - ფხვნილი, P- დატვირთვა, GD -გრაფიტის წნეხ-ყალიბი, EC - ელექტრული დენი, s - ნაპერწკალი, sp - ნაპერწკალი-პლაზმა, p - ნაწილაკი.


იმის გამო რომ სიხშირე პულსირებადი დენისა მაღალია. ეს მცირე პერიოდი სრულიად საკმარისია იმისთვის, რომ შეიქმნას მაღალი ტემპერატურა და შესაბამისად წარიმართოს შეცხობის პროცესი, მაგრამ არ არის საკმარისი იმისთვის, რომ ეს ტემპერატურა გავრცელდეს ნანოკრისტალურ ნაწილაკებში და აწიოს მათი ტემპერატურა. ამიტომ, რომ მთლიანი მასის ტემპერატურა რჩება დაბალი და ხელს არ უწყობს მარცვლის ზრდის პროცესებს, მაშინ როცა ნაწილაკების ზედაპირთა შეხების წერტილებში ტემპერატურა სრულიად საკმარისია შეცხობის პროცესების წარსამართად.

ჩვენმა წინასწარმა გამოკვლევებმა გვიჩვენა, რომ ნპს მეთოდის გამოყენება არ არის ეფექტური არაგამტარი მასალებისთვის ვინაიდან ასეთ მასალებში ნაწილაკებს შორის რკალი არ წარმოიქმნება. ზოგიერთ დიელექტრიკულ მასალებში გამტარებლობის კომპენსირება ხდება მაღალ ტემპერატურებზე. გრაფიტის წნეხ-ყალიბში დენის გატარებით გამოიყოფა სითბო, რომელიც ახურებს ფხვნილს და მას გამტარუნარიანობას ანიჭებს. შემდგომ ხდება პლაზმური პროცესებისა და შესაბამისად შეცხობის პროცესების რეალიზება და ნაწილაკების ნანოკრისტალურობა შენარჩუნებულია. ცხადია, თუ გამოყენებული ფხვნილი მაღალ ტემპერატურაზე არ იძენს გამტარებლობას, მაშინ რკალურ-პლაზმური პროცესები ვერ განხორციელდება; შეცხობის პროცესის განხორციელებისთვის აუცილებელია მასის ტემპერატურის აწევა, მაგრამ ასეთ შემთხვევაში ნანოკრისტალურობას ვერ შევინარჩუნებთ. არსებობს აგრეთვე სხვა პრობლემაც, რაც დაკავშირებულია ნანოფხვნილების ნაწილაკების აგლომერაციასთან. ასეთი ფხვნილების გამოყენებისას რკალურ-პლაზმური პროცესები რეალიზებადია, მაგრამ არა ნანო ნაწილაკებს შორის, არამედ აგრეგირებულ ნაწილაკებს შორის და შესაბამისად, შეცხობის პროცესები მიდის

აგრეგირებულ ნაწილაკებს შორის. ასეთ შემთხვევებში აგრეგირებულ ნაწილაკებს შორის არსებული ფორები უცვლელი რჩება. ამის გამო მიღებული შეცხოვრილი პროდუქტი, მართალია, იქნება ნანოკრისტალური, მაგრამ მეტად ფორიანი. ცხადია, ასეთ მასალას ვერ ექნება მაღალი თვისებები. შეგვიძლია გამოვიყენოთ ინჰიბიტორები არა-აგრეგირებული ფხვნილების მისაღებად, მაგრამ, როგორც ზევით აღვნიშნეთ მათი დამატებაც გარკვეულ პრობლემებთანაა დაკავშირებული.

არსებული ლიტერატურის მიმოხილვა გვიჩვენებს, რომ ნაშრომები [25-30] ძირითადად ეხება ახალი მასალების მიღებას და მათი თვისებების შესწავლას, ხოლო გამოყენებული ახალი ტექნოლოგიის და პროცესის მექანიზმის აღწერა ნაკლებადაა მოცემული. ნაშრომში [31] ნახვენებია ნაპერწკლოვან პლაზმური მეთოდით შეცხოვრილი WC-6 % ZrO₂ ნანოკომპოზიტების კომპაქტირება და მიკროსტრუქტურა. აღნიშნულია, რომ ნპს მეთოდი, როგორც ერთ-ერთი სახეობა ველით აქტივირებული შეცხოვრის მეთოდისა, ეფექტურად შეიძლება გამოვიყენოთ სასურველი სტრუქტურის ნანოკომპოზიტების მისაღებად. ამ ტიპის კომპოზიტებისათვის შესაძლებელია შეცხოვრის ტემპერატურის 1700°C –დან 1300 °C –მდე დაწევა. ასევე შესაძლებელია მნიშვნელოვნად დაიწიოს შეცხოვრის ტემპერატურამ სხვა მასალებისთვისაც, როგორებიცაა W, AlN, Fe-Fe₃C, WC-Co, Nb-Al და სხვა. თუ გამოვიყენებთ ველით აქტივაციის პროცესს [32,33]. აღნიშნულია, რომ იყო შემუშავებული მრავალი პროცესი სადაც გამოყენებულია დენის გატარებით ფხვნილის კონსოლიდაციის ხელშეწყობა. პირველადი იდეა ფხვნილის წინაღობის გამოყენებით შეცხოვრისა ეკუთვნის ტეილორს. დაწეებული 1933 წლიდან იგი იყენებდა ამ მეთოდს სალი შენადნობების შესაცხოვრებად. 1944 წელს კრემერმა დააპატენტა მეთოდი - შეცხოვა ველის ხელშეწყობით. გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან ლენელი იყენებდა შედუღების აპარატის მსგავს მოწყობილობას მეტალური ფხვნილების ცხლად დაწნევისათვის. თანამედროვე ეტაპზე ელექტრული ველის ზემოქმედების გამოყენება მასალების ცხლად დაწნევის შეცხოვრიდან, წინაღობის გამოყენებით, გადავიდა მაღალი ენერჯიების, მაღალი სიჩქარეების მქონე პროცესების, დინამური მაგნიტური კომპაქტირების (DMC), ელექტრული განმუხტვით კომპაქტირების (EDC) და ველით აქტივირებული შეცხოვრის ტექნიკის (FAST) გამოყენებებზე. DMC და EDC მეთოდების გარდა დანარჩენ მეთოდებში ფხვნილში დენის გატარება იწვევს ჯოულის სითბოს გამოყოფას. FAST და EDC მეთოდების გამოყენებისას ფხვნილის აქტივირება ხდება ელექტრული განმუხტვების საშუალებით. ძირითადი განსხვავება FAST და EDC მეთოდებს შორის არის განმუხტვების რაოდენობა. თუ პირველში გამოიყენება მრავალჯერადი განმუხტვები, მეორეში მხოლოდ ერთჯერად განმუხტვას აქვს ადგილი. ცხადია ერთჯერადი განმუხტვა ვერ შესძლებს ფხვნილის სრულყოფილად შემჭიდროვებას ამიტომ ამ მეთოდში ფხვნილის საბოლოო კომპაქტირებისათვის გამოიყენება სხვა ენერჯა, მაგალითად მექანიკური, გამოყენებული დაწნევის სახით, ან თერმული, რომელიც მაღალ ტემპერატურებზე თავდ შექმნის განმუხტვებს. FAST ტექნოლოგია ცნობილია სხვადასხვა სახელწოდებებით. ასე მაგალითად ნაპერწკალურ პლაზმური შეცხოვა (SPS) ან პლაზმით აქტივირებული შეცხოვა (PAS), რომელიც შექმნილია იაპონიაში, იმპულსური ელექტრო-განმუხტვით კომპაქტირების


მოწყობილობა ან წნევის ქვეშ წინაღობითი ნაპერწკალური შეცხობა - კორეაში, იმპულსური ელექტრო-განმუხტვა წნევის გამოყენებით შექმნილი რუსეთში, პლაზმური წნევითი კომპაქტირება (PPC) – აშშ, პლაზმური კომპაქტირება – ბრაზილია. ყველა ამ მეთოდებს აქვთ საერთო პულსირებადი განმუხტვა და წინაღობითი შეცხობა. თვალსაჩინოებისათვის სურ. 35-ზე ნაჩვენებია ცხლად დაწნეხვის (HP) და ველით აქტივირებული შეცხობის მეთოდის (FAST) ტექნოლოგიური პროცესები, ხოლო სურ. 36-ზე კი ველით აქტივირებული შეცხობის მეთოდის განხორციელების ნაირსახეობები. როგორც სურათებიდან ჩანს ცხლად დაწნეხვის დროს ფხვნილს ენერგია შეცხობისათვის მიეწოდება გარედან გამახურებლის საშუალებით. FAST მეთოდის დროს კი ენერჯის გამოყოფას ფხვნილში უშუალოდ დენის გატარების შედეგად აქვს ადგილი. ამ მეთოდის სახესხვაობებიდან ყველაზე მეტ გამოყენებას პოულობს წინაღობის, ელექტრული განმუხტვით შეცხობის (EDS), მაღალი ენერჯის მაღალი სიჩქარის პროცესის (HEHR), პლაზმით განხორციელებული შეცხობის (PAS), ნაპერწკალურ პლაზმური (SPS) და შეცხობის ელექტრო კომპაქტირების მეთოდები.



სურ. 35. ტექნოლოგიური პროცესები: a) ცხლად დაწნეხვის (HP) და b) ველით აქტივირებული შეცხობის მეთოდი (FAST)

წინააღობით შეცხობის მეთოდი (a) იყენებს მუდმივი დენის გატარებას ფხვნილში მუდვი წნევის ან წნევის გარეშე პირობებში. როგორც წესი ფხვნილი წინასწარ განიცდის ცივ მდგომარეობაში კომპაქტირებას და შემდეგ ხდება დენის გატარება. ცხადია ამ დროს ფხვნილი უნდა იყოს ელექტრო გამტარებლობის მქონე. ამ მეთოდს ეხლა მხოლოდ ისტორიული მნიშვნელობა აქვს. მაღალი ენერჯის მაღალი სიჩქარის პროცესის (HEHR) და ელექტრო-მაგნიტური (b) მეთოდები დაფუძნებულია პულსირებადი ელექტრო და მაგნიტური ენერჯის გარდაქმნაზე მექანიკურ იმპულსში და ამ იმპულსის კონცენტრირებაზე კომპაქტირების ზონაში. ეს მეთოდი გამოყენებული იყო ელკაბირის მიერ 1980 წელს, ნანომარცვლოვანო ალუმინის ოქსიდის Al_2O_3 კომპაქტირებისათვის. კომპაქტირების შემდეგ მასალამ მართალია შეინარჩუნა ნანოკრისტალურობა მაგრამ მისი სიმკვრივე თეორიული სიმკვრივის მხოლოდ 82% შეადგენდა. ელექტრო განმუხტვით კომპაქტირება (EDC) და კაშკაშა ელექტრო განმუხტვით შეცხობის (EDS) მეთოდები იყენებს კონდენსტორის განმუხტვას (c). 1970 წელს ეს


მეთოდი გამოიყენეს საიტომ და კლიენსმა, შესაბამისად ალუმინისა და ნიკელის ფხვნილების კომპაქტირებისათვის. ამ მეთოდით სარგებლობისას საჭიროა გარეშე დაწნეხვის გამოყენება. იდეა მეტალური ფხვნილების კომპაქტირებისათვის პულსირებადი დენის გამოყენებისა ეკუთვნის ინოუს - 1960 წელი. პლაზმით აქტივირებული შეცხობის (PAS) და ნაპერწკალურ პლაზმური შეცხობის (SPS) კომერციული მოწყობილობები გამოჩნდა შესაბამისად 1960 და 1990 წლებში. PAS მეთოდის გამოყენების დროს პულსირებადი დენი მცირე დროის შემდეგ გადადის მუდმივ დენში (d). SPS დროს კი პულსირებადი დენი გამოიყენება შეცხობის პროცესის ბოლომდე (e). ელექტრო კომპაქტირების დროს გამოიყენება მუდმივი დენი (f). ამ დროს ნიმუში თავსდება ყალიბში გრაფიტის გრანულებთან ერთად და ისე განიცდის დაწნეხვას. აქ გრაფიტის გრანულები




სურ. 36. ველის ზეგავლენით განხორციელებული შეცხობის მეთოდის ნაირსახეობები.

ასრულებენ სითხის როლს, რომლის საშუალებითაც ფხვნილს გადაეცემა წნევა და მეორეს მხრივ ის არის დენის გადამტანი, რომლის საშუალებითაც გამოიყოფა ჯოულის სითბო. მიუხედავად იმისა, რომ ამ დროს გამოყენებულია ერთდერძა დატვირთვა, ნიმუში განიცდის ყოველმხრივ დაწნეხვას. ნაპერწკალურ სინთეზის მექანიზმს ეხება ნაშრომი [34], რომელშიც აღნიშნულია ამ ტექნოლოგიური მეთოდის გარკვეული უპირატესობები. ტექნოლოგია იძლევა საშუალებას მივიღოთ მრავალი მასალა როგორც ამორფული ასევე ნანოკრისტალური სტრუქტურული მდგომარეობით. ნაშრომში ასევე არნიშნულია, რომ მიუხედავად იმისა, რომ არსებობს მრავალი თეორია პროცესის მიმდინარეობისა, ბოლომდე ნათლად მაიც არ არის ჩამოყალიბებული კომპაქტირების მექანიზმი. პროცესის დროს, დაბალი ძაბვის, მაღალი წნევის, მაღალი პულსირებადი დენის კომბინაცია იძლევა საშუალებას მაღალი სიჩქარით ენერჯის მიწოდებისა რაც იძლევა საშუალებას მაღალი სიმკვრივის ნიმუშის მიღებისა. პროცესის დროს შექმნილი ელექტრული ველი ასუფთავებს ფხვნილის მარცვალთა ზედაპირებს და ნაპერწკალურ პლაზმური პროცესების შედეგად გამოყოფილ სითბოსთან ერთად აძლევს სტიმულირებას ინტენსიური კომპაქტირებისათვის. ექსპერიმენტები ჩატარებული როგორც ელექტრულად გამტარ ასევე ელექტრულად არაგამტარ მასალებზე იძლევა იმის მტკიცების საშუალებას, რომ პლაზმური პროცესები წარმოიქმნება ნიმუშში არსებული გაზებში, მაღალი სიდიდის პულსირებადი დენის საშუალებით. ნიმუშში არსებული აღსორბირებული გაზები ნაპერწკლის საშუალებით განიცდიან იონიზაციას და გარდაიქმნებიან პლაზმად. პლაზმის წარმოქმნაში ასევე დიდ როლს თამაშობს ფხვნილის მარცვლებზე არსებული ოქსიდური ფირები. წარმოქმნილი პლაზმის შედეგად სუფთავდება მარცვლის ზედაპირები, რაც განაპირობებს დიფუზიური პროცესების ინტენსიურობას და შედეგად მიდის სწრაფი კომპაქტირება. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ რაოდენობრივი გავლენა მაღალი სიდიდის პულსირებადი დენისა კომპაქტირებაზე დღესაც ბოლომდე არ არის შესწავლილი. ნაშრომში ასევე განხილულია შეცხობის დროს ნიმუშში ტემპერატურის განაწილება. ცხადია მას დიდი მნიშვნელობა აქვს ნიმუშის თვისებების ჩამოყალიბებაში. ტემპერატურის განაწილება სხვადასხვა ნაირია ელექტრულად გამტარ და არაგამტარ მასალებში. ნაშრომებში [35-42] განხილულია სხვადასხვა მასალების, როგორებიცაა ბორიდები, კარბიდები, სალი შენადნობები, კერამიკები, მეტალები და სხვა, ნაპერწკლოვანი პლაზმური სინთეზის მეთოდით მიღება და კვლევა. ნახვენებია, რომ ამ ტექნოლოგიის გამოყენება იძლევა საშუალებას მივიღოთ მაღალი მახასიათებლების მქონე მასალები ძალზე მცირე დროში და ნაკლები ენერჯის დანახარჯებით. საინტერესოა ნაპერწკლოვანი პლაზმური სინთეზის პიონერი კომპანიის SPS SYSTEX INC (Sumitomo Coal mining Co., Ltd და Sojitz Corporation გაერთიანება) წარმოდგენა ამ პროცესის მექანიზმზე. მათ ინტერნეტ გვერდზე (<http://www.scm-sps.com/index.html>) აღნიშნულია, რომ SPS ეფუძნება ელექტრული ნაპერწკალის განმუხტვის ფენომენს: მაღალი ენერჯის, დაბალი ძაბვის პულსირებადი ნაპერწკლის დენი, ფხვნილის ნაწილაკებს შორის, მომენტალურად ქმნის ნაპერწკალურ პლაზმას ლოკალიზირებულ მაღალ ტემპერატურასთან (ათეულ ათას გრადუსს, ცელსიუსის სკალით) ერთად, რომელიც ხელს უწყობს ოპტიმალურ თერმულ და ელექტროლიტურ დიფუზიას. SPS შეცხობის

ტემპერატურა დაბალიდან 2000 –მდე ფარგლებში 200-500 °C –ით ნაკლებია ვიდრე ჩვეულებრივი კონვენციური შეცხობის დროს. დნობა, აორთქლება და შეცხობა მთავრდება ძალზე მოკლე დროში, დაახლოებით 5-20 წუთი, გახურებისა და დაყოვნების დროის ჩათვლით. SPS პროცესი წნევით უზრუნველყოფილი პულსირებადი დენით შეცხობის პროცესია, რომელიც იყენებს მუდმივი დენის ჩართვა-გამორთვით აგზნებას. პულსირებადი დენის ჩართვა-გამორთვის მრავალჯერადი გამოყენება იწვევს, გამორთვის დროს, ნაპერწკალ პლაზმით მარცვლებს შორის გამოყოფილი ჯოჯოხის სითბოს გაწოვას მთელ ნიმუშში და მთელი ტემპერატურის გათანაბრებას. ვინაიდან მარცვლებს შორის ყოველთვის არის გარკვეული ღრეჩო, მათ შორის ხდება ნაპერწკალის განმუხტვა, რაც იწვევს ლოკალურად მაღალი ტემპერატურის წარმოქმნას. ადგილი აქვს აორთქლებას და დნობას მარცვალთა შეხების წერტილში, რაც განაპირობებს მარცვალთაშორის ყელის გაჩენას, ანუ ადგილი აქვს კონტაქტის შექმნას. ასეთი კონტაქტები იწვევს პლასტიკურ დეფორმაციას და იწვება ნიმუშის სიმკვრივის თანდათანობითი ზრდა. ნიმუშის სიმკვრივემ ამ პროცესის დროს შესაძლებელია 99% კი მიაღწიოს. ვინაიდან სითბოს გამოყოფას მხოლოდ მარცვლების ზედაპირზე აქვს ადგილი, მარცვალის და ნიმუშის ტემპერატურა კონტროლირებადია. პროცესი მიმდინარეობს მცირე დროის განმავლობაში და ამიტომ არა აქვს ადგილი მარცვლების მნიშვნელოვან ზრდას. ამით იქმნება საშუალება, რომ მასიური ნიმუშის მიღების დროს შევინარჩუნოდ საწყისი მასალის ნანოკრისტალურობა და ამორფულობაც კი. სურ.37 –ზე ნაჩვენებია პულსირებადი დენის გზა ნიმუშში, ხოლო სურ. 38 გვიჩვენებს შეცხობის პროცესში ნივთიერების მოძრაობის გზას.




სურ.37. პულსირებადი დენისგზა




სურ.38. ნივთიერების მოძრაობის გზა

ზემოთ სურ.26–ზე ნაჩვენები იყო SPS პროცესის მიმდინარეობის მექანიზმი, სადაც თვალნათლივ ჩანდა მარცვლებს შორის ნაპერწკალის და პლაზმის წარმოქმნის და შეცხობის მიმდინარე 5 ეტაპი. პირველ ეტაპზე ადგილი აქვს თავისუფალი ელექტრონების წარმოქმნას, მეორე ეტაპზე ამ ელექტრონების საშუალებით გაზის იონიზაციას, მესამე ეტაპზე მარცვალთა ზედაპირიდან აორთქლებას და ლოკალურ დნობას, მეოთხე ეტაპზე ნაპერწკალით დარტყმით დაწნევას და მასალის აორთქლებული ნაწილაკების დაფრქვევას, მეხუთე ეტაპზე კი ადგილი აქვს თერმულ დიფუზიას, ყელის წარმოქმნას ნაწილაკებს შორის და პლასტიკურ დეფორმაციას ანუ კომპაქტირებას.


SPS SYSTEX INC კომპანიის მიერ წარმოებული, SPS მეთოდზე მომუშავე, მოწყობილობები ნაჩვენებია სურ.39 –ზე. კომპანია აწარმოებს როგორც სამეცნიერო კვლევებისათვის - SPS-511S, ასევე სამეცნიერო-საწარმოო - SPS-2050 და საწარმოო SPS-9.40 მოდელებს.



SPS - 511S



SPS – 2050



SPS-9.40


სურ. 39. SPS SYSTEX INC კომპანიის მიერ წარმოებული SPS მეთოდზე მომუშავე მოწყობილობები

როგორც ზემოთ აღნიშნულიდან ჩანს, SPS მეთოდი საკმაოდ პოპულარულია. მრავალი კვლევაა ჩატარებული ამ მეთოდის გამოყენებით და ნაჩვენებია მისი უპირატესობა სხვა მეთოდებთან შედარებით. გამოშვებულია ამ მეთოდზე დაფუძნებული მოწყობილობების საწარმოო მოდელებიც. თუმცა ლიტერატურაში გვხვდება საწინააღმდეგო მოსაზრებებიც. ასე მაგალითად ნაშრომში [43] დასაბუთებულია, რომ SPS პროცესის დროს არ წარმოიშვება პლაზმა. ცხადია თუ ეს სიმართლეა, მაშინ ის თავის სახელს ვერ ამართლებს და შეცხობის პროცესებიც სხვაგვარად მიმდინარეობს, ვიდრე ამას მკვლევართა დიდი უმრავლესობა წარმოგვიდგენს. ამ მეთოდით მიღებული მასალების მაღალი მახასიათებლები ან საექცოა ან ისინი უნდა გამოწვეული იყოს სხვა მიმდინარე პროცესებით. ჩვენს მიერ პროექტის ფარგლებში შექმნილი დანადგარის საშუალებით შევეცდებით ამ პროცესებში გარკვევას. ჩვენს მიერ ჩატარებულმა წინასწარმა კვლევებმა მოგვცეს ძალზე საინტერესო შედეგები [44]. ამიტომ მნიშვნელოვანია დამატებითი დეტალური კვლევა.

სალი შენადნობების მიღების ტრადიციულ ტექნოლოგიას წარმოადგენს ფხვნილთა მეტალურგიის მეთოდზე დაფუძნებული ტექნოლოგია, რომელიც მოიცავს კომპონენტთა ფხვნილების მიღებას, მათი საშუალებით სალი შენადნობების კაზმის მომზადებას, ფორმირებას, შეცხობას და კონტროლს. სქემატურად იგი გამოსახულია სურ.40–ზე. სალი შენადნობების დამზადების ერთერთი მნიშვნელოვანი ეტაპი ფხვნილის მომზადებაა. ჩვენს მიერ შემუშავებული იქნა ახალი ტექნოლოგია სალი შენადნობების ფხვნილის მომზადებისა. მიუხედავად იმისა, რომ მოდიფიცირებული ტექნოლოგია, აერთიანებს რა დაწვრილმარცვლოვნების და პლასტიფიცირების ოპერაციებს, მნიშვნელოვნად ამარტივებს ტექნოლოგიას და იწვევს საბოლოო

პროდუქტის თვისებების გაუმჯობესებას, პლასტიფიკატორის თანაბარი განაწილებისა და ფხვნილთა მარცვლების დაქანგვისაგან დაცვის გამო, იგი მაინც ვერ აღმოფხვრის იმ პრობლემას, რომელიც დაკავშირებულია ფხვნილთა დაწვრილმარცვლოვნება-შერევასთან. როგორც ცნობილია, სალი შენადნობები შესდგება სალი შემადგენელი ნაწილისაგან (კარბიდები, ბორიდები, ნიტრიდები, ოქსიდები და ა.შ.) და შემაკავშირებელი მეტალისგან. სალი შემადგენელი ნაწილი მყიფე მასალებია და ისინი დაწვრილმარცვლოვნებისას, განიცდიან რა მყიფე მსხვრევას, ღებულობენ ნანოზომებს. შემაკავშირებელი მეტალები კი როგორც პლასტიური მასალები, პლასტიური დეფორმაციის შედეგად დაწვრილმარცვლოვნებისას ღებულობენ ფოთლის მაგვარ ფორმებს. მართალია მიღებული ნაწილაკების სისქე ნანოზომებისაა, მაგრამ მათი ორი დანარჩენი ზომა ისევ მიკრონის რიგის რჩება და ცხადია სალ შენადნობთა კომპონენტების შერევისას მათ თანბარ განაწილებაზე ლაპარაკი ზედმეტია.


სალი შენადნობების ნანოკრისტალური ფხვნილების მიღების შემუშავებული ტექნოლოგიის (სურ.41) პირველ ეტაპზე მიიღებოდა ფხვნილები ჭარბი თავისუფალი ნახშირბადით. შენადნობთა მისაღებ საწყის მასალებში ნახშირბადის შემცველობის შემცირება არ იძლეოდა სასურველ შედეგს, ვინაიდან ადგილი ჰქონდა ოპტიმალური



სურ. 40. სალი შეადნობის წარმოების სტანდარტული ტექნოლოგია.

სტრუქტურის დარღვევას. წარმიქმნებოდა არასასურველი რთული კარბიდები და ინტერმეტალიდები. მეორეს მხრივ, აღმოჩნდა, რომ ზედმეტი თავისუფალი

ნახშირბადი ხელს უშლის მარცვლების ზრდას და ჩვეულებრივი ტექნოლოგიითაც კი შესაძლებელია შეცხოვრილი სალი შენადნობის მიღება ნანოკრისტალური სტრუქტურული მდგომარეობით. ასეთი შენადნობების მახასიათებლები სტანდარტულ შენადნობთა რიგის იყო. ნანოკრისტალურობით გამოწვეულ მახასიათებლების გაზრდას თან სდევდა ზედმეტი თავისუფალი ნახშირბადით გამოწვეული მახასიათებლების შემცირება. ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენეს, რომ შესაძლებელია საწყის კომპონენტებში ნახშირბადის რაოდენობის შემცირება ოპტიმალურამდე და მიუხედავად კაზმში არსებული რთული კარბიდებისა და ინტერმეტალიდებისა, ჩვენს მიერ შემუშავებული ნაპერწკალურ პლაზმური სინთეზის (ნპს) მოწყობილობის გამოყენებით მიიღება ნორმალური სტრუქტურის სალი შენადნობები.



სურ.41. ნანოკრისტალური სალი შენადნობების მიღების ტექნოლოგიური ციკლი

დაფქვის შემდეგ მიღებულ მასას აშრობენ, ცრიან, ურევენ პლასტიფიკატორს, ამზადებენ გრანულებს, წნეხავენ ნამზადებს წნეხ-ყალიბებში და აცხობენ მაღალტემპერატურულ წყალბადის ან ვაკუუმურ ღუმელებში. ბოლო ეტაპი კი მიღებული ნამზადების კონტროლია. ზომავენ ფიზიკო-მექნიკურ თვისებებს და ადგენენ საექსპლოატაციო მახასიათებლებს. მიღებული მასალების მარცვლოვანება 2-10 მკმ ფარგლებშია.

გარდამავალ მეტალთა კარბიდები, განსაკუთრებით კი ტიტანის კარბიდი, თავისი უნიკალური თვისებებით, ინტენსიური კვლევის ობიექტები არიან. ტიტანის კარბიდის წარმოების და მოხმარების ზრდამ იგი გადაქცია მყარი ტანის ფიზიკის საინტერესო და სამოდერნო ობიექტიდან, ფართო საწარმოო გამოყენების ობიექტად. ტიტანის კარბიდის ფუძეზე დამზადებულ ნამზადებს, რომლებიც გამოიყენებიან რაკეტმშენებლობაში, თვითმფრინავმშენებლობაში, ატომურ ენერგეტიკაში, მიკროელექტრონიკაში და სხვა, განსაკუთრებული მოთხოვნები წაყენება. სხვადასხვა მეთოდით მიღებულ ტიტანის კარბიდის გამოყენების შესაძლებლობა ამა თუ იმ სფეროში, განისაზღვრება რთული კომპლექსური თვისებებით. ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მათ შორის სტრუქტურული მდგომარეობაა. ელექტრონულ მრეწველობაში დიდი იმედებია დამყარებული ტიტანის კარბიდის გამოყენებაზე ინტეგრალურ სქემებში. ტიტანის კარბიდი ერთ-ერთ მნიშვნელოვან შემადგენელ კომპონენტს წარმოადგენს სალ შენადნობებში. თვით სალი შენადნობების მნიშვნელობა თანამედროვე ტექნიკაში ძალზე დიდია. მიუხედავად იმისა, რომ ტანამედროვე სალ შენადნობებში გამოყენების თვალსაზრისით ვოლფრამის კარბიდი ინარჩუნებს წამყვან როლს, ტიტანის კარბიდი და მისი ფუძის მქონე სალი შენადნობების გამოყენება მიმზიდველია მრავალი უნიკალური თვისებების გამო. ტიტანის კარბიდის ფუძის მქონე სალი შენადნობები მხოლოდ პლასტიურობის თვალსაზრისით ჩამორჩებიან ვოლფრამის კარბიდისიანებს, ხოლო ეს ნაკლოვანება შეიძლება დაიძლიოს ამ მასალების ნანოსტრუქტურული მდგომარეობის მიღებით. როგორც ცნობილია ფიზიკო-მექანიკური თვისებები ნანომასალებისა მნიშვნელოვნად განსხვავდება ჩვეულებრივის კრისტალური სტრუქტურის მქონე მასალებისგან, რაც გამოწვეულია ზედაპირული ფენების როლის მნიშვნელოვანი ზრდით საერთო ენერგეტიკულ ბალანსში, რაც თავის მხრივ იწვევს რადიკალურ ცვლილებებს სტრუქტურისა, ატომთა რხევის სპექტრისა დიფუზიურ და სხვა სატრანსპორტო პროცესებში. ნანოკრისტალური მოლიბდენისა და ვოლფრამის კარბიდები საუკეთესო კატალიზატორული თვისებებით ხასიათდებიან. ამ ხრივ საინტერესო იქნება ნანოკრისტალური ტიტანის კარბიდის გამოყენებაც. ასევე მნიშვნელოვანია გამოკვლევების ჩატარება ნანოკრისტალური ტიტანის კარბიდის გამოყენებისათვის სხვადასხვა ორგანულ მასალების იზომერიზაციის ქიმიურ რეაქციებში როგორც კატალიზატორისა ეკოლოგიურად სუფთა ბენზინის საწარმოებლად. ვოლფრამის კარბიდის ფუძის მქონე სალი შენადნობების გამოყენება საჯავშნე მასალებში შეზღუდულია დიდი სიმკვრივის გამო. ამ მხრივ ძალზე მიმზიდველია ტიტანის კარბიდის ფუძის მქონე სალი შენადნობების გამოყენება განსაკუთრებით ჯავშანუილეტებში და საფრენ აპარატების დასაცავდ. თუ ნანოკრისტალური სალი შენადნობების მიღება ვოლფრამის კარბიდის ფუძეზე, ასე თუ ისე გადაწყვეტილია, ეს არ ითქმის ტიტანის კარბიდის ფუძის მქონე სალ შენადნობებზე, ვინაიდან ამ დროს მრავალი პრობლემა არის გადასაჭრელი. ამიტომ ამ ტექნოლოგიის დამუშავება

ძალზე მნიშვნელოვანია. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი გარდამავალ მეტალთა კარბიდები და მისი ფუძის მქონე სალი შენადნობები მიღებულია ნანოსტრუქტურული მდგომარეობით, მაინც არის პრობლემები დიდი ზომის მქონე ნამზადების მიღებისას, ვინაიდან ამ დროს ადგილი აქვს შეცხობის დროის გაზრდას რაც იწვევს მარცვლოვანების ზრდასაც. ამის საწინააღმდეგოდ საჭირო ხდება ინჰიბიტორების დამატება. ეს კი ზოგჯერ არასაურველ შედეგებს იწვევს. შემუშავებული ტექნოლოგია მნიშვნელოვნად რთულდება. ატრიტორებში, ქიმიკო-მექანიკური მეთოდით ნანოკრისტალური მასალების მიღება დაკავშირებულია ძირითადად ორ პრობლემასთან. პროცესის ხანგრძლივობის გამო ადგილი აქვს მასალის დაბინძურებას ჟანგბადით და მარცვალთა აგლომერიზაციას. უკეთესი შედეგის მიღებაა შესაძლებელი ნანომასალების ქიმიური სინთეზირებით მიღებისას. რუტგერს უნივერსიტეტში (აშშ), შემუშავებული იქნა WC-Co ტიპის სალი შენადნობების მიღების ქიმიური მეთოდი ვოლფრამისა და კობალტის მარილთა წყალხსნარებიდან. გამომშრალი ნარევის კარბიდიზაცია მიმდინარეობდა კონტროლირებად CO/CO₂, CO/Ar ან CO/H₂ ატმოსფეროში. სამწუხაროდ ანალოგიური მეთოდის გამოყენება ტიტანის კარბიდის ფუძის მქონე სალი შენადნობებისათვის არ არის მიზანშეწონილი ტიტანის ჟანგბადთან აქტიურობის გამო. წყალხსნარებში სინთეზირებისას ადგილი აქვს Ti-O კავშირების წარმოქმნას და წყალბადის ან ინერტული აირის გარემოში პირობისას კი ტიტანის კარბიდის ნაცვლად წარმოქმნას TiO₂. ტიტანის კარბიდის მიღების მეთოდები აღწერილია ამერიკულ პატენტებში US3812239 და US4662215. პირველი პატენტის მიხედვით კარბიდწარმოქმნა მიმდინარეობს ნახშირწყალბადის და ტიტანის ჰალოგენიდის ორთქლში. პროცესი მიმდინარეობს რეაქტორში 150-200°C ტემპერატურაზე დამხმარე გაზის გამოყენებით. მეორე პატენტის მიხედვით კი ტიტანის კარბიდი წარმოიქმნება ტიტანორგანიკის და პოლიმერის ურთიერთქმედებით. პრობლემები იქმნება როცა საჭირო ხდება სალი შენადნობების მიღება დამატებითი კომპონენტების შეყვანის გამო. ამორფული ტიტანოკარბიდული მასალები იქნა მიღებული ტიტანის ტეტრაბენზიდის Ti(CH₂PH)₄ გამოყენებისას, მაგრამ ამ დროს მიღებული მასალები შეიცავენ თავისუფალ ნახშირბადს ჭარბი რაოდენობით, რაც უარყოფითად მოქმედებს მასლათა თვისებებზე. ნანომასალების მისაღებად გავრცელება პოვა მიღების ულტრაბერითმა ქიმიურმა მეთოდმა. მაღალი ლოკალური წნევები და ტემპერატურები განუზომელ მაღალ გაცივების სინქარესთან ერთად, ძალზე მიმზიდველს ხდის ამ მეთოდის გამოყენებას. ამ მეთოდით მიღებული ნანოკრისტალური მოლობდენის და ვოლფრამის კარბიდების კატალიზატორული თვისებები შესადარისია პლატინის ჯგუფის ელემენტებთან. მაგრამ ამ მეთოდის ნაკლოვანებაა რთული აპარატორული მოწყობილობა და მცირე წარმადობა. გარდა ამისა მიღებული კარბიდები დაბინძურებულია ჟანგბადით და საჭირო ხდება დამატებითი ოპერაციების ჩატარება გასუფთავების მიზნით.


ნანოკრისტალური მასალების წარმოების ლაზერული და პლაზმური მეთოდები ძალზე ძვირად ღირებული, ენერგოტევადი და მცირე წარმადოვანი არიან, ამიტომ მათი გამოყენება მხოლოდ სფეციფიკურ შემთხვევებშია გამართლებული.

ჩვენს მიერ შემუშავებული ტექნოლოგია და მოწყობილობა ასევე იძლევა პრობლემის გადაწყვეტას ტიტანის კარბიდის ფუძის მქონე სალი შენადნობებისათვის. აქაც საჭიროა საწყის კაზმში ზედმეტი თავისუფალი ნახშირბადის შეყვანა, ვინაიდან სიმცირე იწვევს არასასურველი ფაზების წარმოქმნას. ზედმეტი ნახშირბადი ჩვეულებრივი შეცხოებისას ხელს უშლის შეცხოების პროცესს. არასასურველი ფაზები კი ამცირებს შენადნობთა მახასიათებლებს. ნპს მოწყობილობის გამოყენება იძლევა ოპტიმალურ შენადნობებს. ცხადია ნორმალური სტრუქტურის ნანოფხვნილისგან ნორმალური სტრუქტურის სალი შენადნობი მიიღება.


ვინაიდან სალი შენადნობების სალი შემადგენელი კომპონენტის დაწვრილმარცვლოვნება შესაძლებელია ნანოზომებამდე, სასურველი შედეგი შესაძლებელია მოგვცეს დაწვრილმარცვლოვნებული ფხვნილის დაფარვამ შემაკავშირებელი კომპონენტით. თუ კი მოხერხდება ნანოკრისტალური დანაფარების მიღება, მაშინ საშუალება გვექნება მთლიანობაში მივიღოთ ნანოკრისტალური სალი შენადნობების ფხვნილები. დაფარვის ერთ-ერთი გავრცელებული მეთოდია ქიმიური დაფარვა. ამ მეთოდის გამოყენებისას საჭიროა დასაფარ მასალის წინასწარი მომზადება: ზედაპირის გასუფთავება და გააქტიურება. აგრეთვე დაფარვის დროს კატალიზატორის და აღმდგენელი ქიმიური ნაერთის გამოყენება. როგორც გამოკვლევებმა გვიჩვენეს, სალი შენადნობების სალი კომპონენტებს გააჩნიათ კატალიზატორული თვისებები და დამატებით ძვირადღირებული კატალიზატორების გამოყენებას არ საჭიროებენ. არ არის ასევე საჭირო ფხვნილთა დამატებითი გასუფთავება და გააქტიურება. კვლევებისას ჩვენს მიერ გამოყენებული იყო სხვადასხვა ტიპის აღმდგენელები. სხვადასხვა აღმდგენელების გამოყენებით მიღებული სალი შენადნობის კაზმის ელექტრონული მიკრო-ფოტოგრაფიები. სურათებიდან ვიზუალურად ჩანს, რომ მიიღება საკმაოდ კარგი დანაფარები როგორც ნატრიუმის ჰიპოფოსფიტისა და ჰიპოსულფიტის ასევე გოგირდმჟავა ჰიდრაზინისა და შაქრის გამოყენებით. მიუხედავად იმისა, რომ დაფარვის პროცესის დროს გამოიყენებოდა საკმაოდ დაბალი ტემპერატურები (50-70°C), რიგ შემთხვევებში გაძნელებული იყო ნანოკრისტალური დანაფარების მიღება. როგორც შემდგომმა გამოკვლევებმა გვიჩვენეს, ასეთი კაზმისგან მიღებული შეცხოებილი სალი შენადნობები არ გამოირჩევიან მაღალი მახასიათებლებით. აღმოჩნდა, რომ დაფარვისას შემაკავშირებელ კომპონენტს თან მისდევდა მინარევები, ძირითადად აღმდგენელისგან, ფოსფორი, გოგირდი, ბორი, ნახშირბადი და სხვა. ეს მინარევები მასიური ნამზადების ზედაპირული დანაფარებისათვის მავნე არ არის, მაგრამ სალი შენადნობებისათვის მიუღებელი აღმოჩნდა. ამრიგად, როგორც ვხედავთ, აღნიშნული ტექნოლოგიები ვერ იძლევა სასურველ შედეგებს. ამ ტექნოლოგიებით მიღებული

სალი შენადნობები ხასიათდებიან შედარებით მსხვილმარცვლოვანი სტრუქტურით (რამოდენიმე მიკრონის რიგის) ამიტომ შემუშავებული იქნა ახალი ტექნოლოგია ნანოკრისტალური სალი შენადნობების ფხვნილის მისაღებად. ეს მეთოდი ეფუძვნება თერმოქიმიურ სინთეზს. ცხადია, რომ დისპერსიული სისტემის მიღებისათვის საჭიროა დაბალტემპერატურული სინთეზის ჩატარება. ასეთი სინთეზი შესაძლებელია განხორციელდეს შესაბამისი ქიმიური ნაერთების მიღებით (ქიმიური სინთეზი) და მათი შემდგომი პიროლიზით (თერმული სინთეზი). კაზმის მიღების ამ ეტაპის შემდეგ სალი შენადნობის მიღების ტექნოლოგიური სქემა ანალოგიურია სტანდარტულია მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ამ დროს აღარ არის საჭირო კაზმის დამატებითი პლასტიფიცირება, ვინაიდან ნანოკრისტალური შემაკავშირებელი სალი შენადნობისა ხელს უწყობს წნეხადობას. ქიმიური სინთეზი შედარებით მარტივად მიმდინარეობს შესაბამისი ქლორიდების გამოყენებისას. შესაძლებელია ჟანგბადიანი ნახშირწყალბადების გამოყენებაც ტიტანის კარბიდის ფუძის მქონე სალი შენადნობების მიღების გარდა. თუ კი კარბიდული მასალების მათ მისღებ საწყის მასალებს დაუმატებთ სალი შენადნობების შემაკავშირებლის შესაბამის ქიმიურ ნაერთებს, მაშინ კარბიდებთან ერთად მიიღება მეტალური ნაერთებიც და ამრიგად მზად გვექნება სალი შენადნობების ნანოკრისტალური ფხვნილი. ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევების საფუძველზე შესაძლებელია მივიღოთ Ti, Mo, W, Ni მეტალოორგანული და კომპლექსური ნაერთები, შესაბამისი რეაგენტების ხსნარებისა და ნალღობების გამოყენებით. მიღებული ნაერთები რენტგენომორფულები არიან. ამიტომ ცალსახად მტკიცება ამათუ იმ ნაერთების წარმოშობისა საკმაოდ რთულია. წარმოქმნილი ნაერთის შესახებ ვმსჯელობთ რეაქციის თანმდევი პროცესებისა და ელემენტური ანალიზის მიხედვით. ვიყენებთ აგრეთვე დერევატოგრაფიულ და სპექტრალურ ანალიზს. მიღებული ნაერთების ვარგისიანობის შესახებ უტყუარ პასუხს იძლევა მათი თერმოსინთეზი. სალი შენადნობის კაზმი უნდა შეიცავდეს ვოლფრამის კარბიდის, მოლიბდენის კარბიდის, ტიტანის კარბიდის ან ტიტან-მოლიბდენ-ვოლფრამის რთული კარბიდების და ნიკელის ნანოფხვნილებს. ერთერთი მეთოდი კარბიდების მიღებისა იყო კარბოცენური პოლიმერების (ზოგადი ფორმულა $(-CH_2-CRH-)_n$) გამოყენება. შესაბამის ნახშირწყალბადოვან გამხსნელში გახსნილ პოლიმერს ემატებოდა სალი შენადნობის სალი კომპონენტის შესაბამისი ნაერთი. მაგალითად, ტიტანის კარბიდისათვის $TiCl_3$, $TiCl_4$, $(NH_4)_2TiF_6$, ხოლო ვოლფრამის კარბიდისათვის WCl_6 , მოლიბდენის კარბიდისათვის კი $MoCl_5$. შემდგომ შემაკავშირებლისათვის ემატებოდა $NiCl_2$. ასევე წარმატებული აღმოჩნდა მხოლოდ გამხსნელის გამოყენებაც. ვინაიდან ორგანული გამხსნელები, შეიცავენ რა ნახშირბადს საკმაო რაოდენობით, იძლეოდა საშუალებას სრულყოფილი კარბიდის წარმოქმნისა. ხსნარში $NiCl_2$, დამატება შემდგომი გამოწვით უკვე ნანოკრისტალურ სალი შენადნობის ფხვნილს იძლევა. ნანოკრისტალური ფხვნილები მიღებული იქნა აგრეთვე აცეტილენ შემცველი ნახშირწყალბადების (ფენილაცეტილენი, მეთილაცეტილენი, პენტინ-1, გექსინ-1) გამოყენებით. ცხადია აქაც სალი შენადნობის ფხვნილის მისაღებად საჭირო იყო სარეაქციო არეში დამატებით ხსნარში $NiCl_2$ შეყვანა და ამოშრობის შემდეგ მიღებული მასის დაბალტემპერატურული


პიროლიზი. ტიტანის და ნიკელის ქლორიდების შესაბამისად ბენზოლთან და უროტროპინთან ურთიერთქმედებით მიღებული კომპლექსური ნაერთების პიროლიზი 800°C ტემპერატურაზე იძლევა საშუალებას TiC-Ni სისტემის სალი შენადნობების ნაწი ფხვნილების წარმოქმნისა.




ასევე შესაძლებელია ნანოკრისტალური ფხვნილების მიღება ტიტანის ტეტრაქლორიდის, ნიკელის ქლორიდისა და ამინების ურთიერთქმედებით.



ჩვენს მიერ მიღებული იყო მეტალოორგანული ნაერთები იოდოფორმის ურთიერთქმედებით მოლიბდენის პენტაქლორიდთან და ვოლფრამის ჰექსაქლორიდთან 100-110°C ტემპერატურაზე. ცხადია სარეაქციო არეში ნიკელის, რკინის ან კობალტის ქლორიდის დამატება შესაძლებლობას გვაძლევს მივიღოთ კაზმი სალი შენადნობების ნაწი ფხვნილების.




რენტგენოდიფრაქციული კვლევა მიღებული ნაწი ფხვნილებისა ადასტურებს, რომ რეალურად არის შესაძლებელი, სალი შენადნობის კომპონენტა ჩვენს მიერ ქიმიურად სინთეზირებული კომპლექსური ნაერთების თერმოსინთეზით, სალი შენადნობების ნანოკრისტალური ფხვნილების წარმოქმნა. კომპლექსური ნაერთების ქიმიური სინთეზი შესაძლებელია არა მარტო ხსნარების გამოყენებით არამედ შესაბამისი ნაერთების ნალღობების გამოყენებითაც. ერთერთ საინტერესო შემადგენლობას წარმოადგენს $\text{TiH}_2 - \text{NiCl}_2 - \text{WO}_3 - \text{MoO}_3 - \text{C}$ (ჭვარტლი) ნარევი. მისი თერმოსინთეზი იძლევა (Ti,W,Mo)C-Ni სისტემის სალი შენადნობის ნაწი ფხვნილს (სურ.42). დიფრაქტოგრაფია გვიჩვენებს, რომ წარმოქმნილი ფხვნილი ორფაზიანია. ერთი ფაზა ტიტან-მოლიბდენ-ვოლფრამის რთული კარბიდა, ხოლო მეორე ფაზა კი ნიკელს წარმოადგენს. დიფრაქციული მაქსიმუმების გაგანიერება მიუთითებს ფხვნილის ნანოკრისტალურობაზე.




სურ. 42. ტიტანის კარბიდის ფუძის მქონე ნანოკრისტალური სალი შენადნობის ფხვნილის რენტგენოდიფრაქტოგრამა.

სურ.43-ზე ნაჩვენებია რენტგენოდიფრაქტოგრამა მექანო-ქიმიური მეთოდით სინტეზირებული სალი შენადნობის ნანოფხვნილისა. ბურთულოვანი წისქვილის სარეაქციო არეში მოთავსებული იყო სუფთა მეტალები და საჟა შესაბამისი თანაფარდობით Ti:W:Mo:C= X:Y:Z:Q. სინთეზირების პროცესი დასრულებისათვის სჭირო იყო რამოდენიმე ათეული საათი.




სურ.43. რენტგენოდიფრაქტოგრამა მექანო-ქიმიური სინთეზით მიღებული (Ti,Mo,W)C-Ni ტიპის სალი შენადნობის ნანოკრისტალური ფხვნილისა.

ნანოკრისტალური სალი შენადნობების ფხვნილების მიღებისათვის საჭიროა ოპტიმალური ტექნოლოგიური რეჟიმების დაცვა, წინააღმდეგ შემთხვევაში ადგილი აქვს დამატებითი ფაზების წარმოქმნას, რასაც შენადნობთა მახსითებლების გაუარესებასთან მივყავართ. საილუსტრაციოდ ქვემოთ მოყვანილი რენტგენული დიფრაქტოგრამები (სურ. 44).




სურ.44. რენტგენოდიფრაქტოგრამები (Ti,Mo,W)C-Ni სალი შენადნობის ნანო-კრისტალური ფხვნილებისა დარღვეული (a) და ნორმალური სტრუქტურით (b).

დაშლისას წარმოიქმნება დისპერსიული ტიტანი, დაუყანგავი ზედაპირით, რომელიც აქტიურად ურთიერთქმედებს ტიტანის ტეტრაქლორიდის ორთქლთან ტიტანის სამქლორიდის წარმოქმნით. ტიტანის სამქლორიდის ურთიერთქმედებით ბენზოლთან ან უროტროპინთან შესაძლებელია შესაბამისი კომპლექსური ნაერთების მიღება:




მიღებული კომპლექსური ნაერთების პირობიზი 300-800°C ტემპერატურაზე იძლევა საშუალებას ნანოკრისტალური ტიტანის კარბიდის წარმოქმნისა. ასევე არის შესაძლებელი მივიღოთ ნანოკრისტალური ტიტანის კარბიდი ტიტანის ტეტრაქლორიდიდან მიღებული კომპლექსური ნაერთებიდან.



ტიტან-პოლიმერი-გამხსნელი სიტემის კვლევამ გიჩვენა, რომ თერმოქიმიური სინთეზი იძლევა ნანოკრისტალური ტიტანის კარბიდის მიღების საშუალებას. მაგრამ მიღებული კარბიდი აღმოჩნდა დაბინძურებული ზედმეტი თავისუფალი ნახშირბადით. პოლიმერის სახით გამოიყენებოდა: პოლიიზობუთინელი, პოლოსტიროლი, პოლივინილქლორიდი, კაუჩუკი და სხვა. პოლიმერის რაოდენობის

შემცირება, როგორც მიზეზისა ჭარბი თავისუფალი ნახშიბადის წარმოქმნისა, სასურველ შედეგს ვერ იძლევა. პოლიმერის რაოდენობის მნიშვნელოვანი სიდიდით შემცირებისას, პოლიმერი ვეღარ მაგრდება გელში და გამოიყოფა თავისუფალი სახით ხსნარში. ამით ირღვევა კარბიდის კომპონენტთა თანაბარი განაწილება და ხშირად თერმოქიური სინთეზი იწვევს საბოლოო პროდუქტში ტიტანის ორჟანგის გაჩენას.


როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, ნანოკრისტალური კარბიდების მისაღებად საჭიროა, ქიმიური სინთეზით მივიღოთ შესაბამისი კომპლექსური ნაერთები, ხოლო შემდგომი თერმოსინთეზით კი თვით ნანოკრისტალური კარბიდები. სურ. 45-ზე ნაჩვენებია რენტგენული დიფრაქციები ნანოკრისტალური ტიტანის კარბიდისა რომლებიც სინთეზირებული იქნა ტემპერატურაზე $Ti(CH_2)_6N_4Cl_3$ და $TiCl_3 \cdot C_6H_6$ კომპლექსური ნაერთების გამოყენებით. თვით ეს ნაერთები კი შესაბამისად ტიტანის ქლორიდისა უროტროპინთან $(CH_2)_6N_4$ და ბენზოლთან C_6H_6 ურთიერთქმედების შედეგად იქნა სინთეზირებული. დიფრაქციული პიკების გაგანიერება მიუთითებს მათ აშკარა ნანოკრისტალურობაზე.




სურ.45. რენტგენოდიფრაქციული სურათი ტიტანის კარბიდისა სინთეზირებული კომპლექსური ნაერთებიდან: a) $Ti(CH_2)_6N_4Cl_3$, b) $TiCl_3 \cdot C_6H_6$.

ტიტანის კარბიდის მიღება შესაძლებელია უშუალოდ შემადგენელი კომპონენტების ტიტანის ფხვნილისა და ნახშირბადის ურთიერთქმედებით. მართალია მის მისაღებად ჩვეულებრივი მეთოდით სინთეზირებისას მაღალი ტემპერატურები და საკმაოდ დიდი დროა საჭირო, მაგრამ ჩვენს მიერ შემუშავებული ტექნოლოგიით,


